სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლოც ის არის;
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
სხვაგან რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასაბლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზედ ნავია,
არა ვინდომო ვგენი, არ მოკედეს ჩემი თავია.
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
სამშობლო, დედის ძუძუტ, ერთია ქვეყანაზედა,
ორივ ტბილია, მშობილო, მირჩვენის ორთავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.





ტირინან თუშის ქალები

საშუალო სიშიშით
მეორედი

ტი-რი-ან თუ-შის ქა-ლე-ბი ახ მო-გვი-ვიდ-ნენ ქვა-რე-ბი

გუნდი

ქო - დი - ლა ნა - ნა დი - ლა დი - ლა ო - დე - ლა

ნეტავე შეგვატყობინა,
დასკრა თუ ვინმემ თავები!
ქალნო, თრიალეთს თქვენ ქმრებსა
ლექები დაჰხვედრიანო,
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
ბიჭობაც ამას ჰქვიანო.

ხმალო, სიმოკლე რას გიშლის,
ფეხი წადგი და წაგებებს;
ვატაკო, სიმდაბალი
ომშიგან გამოგადგების.

ახნაურობა მიყვარდა,
გვერდზე დახურვა ქუდისა,

ავლა-ჩამოვლა ბაზარში,
გადაკიდება ჩხუბისა.

ახნაურობის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერცა შევავი გულთან,
ვერც კალო ვლევწე მოზურითა.

სადაური ხარ, სად მიხვალ?
სახელი შენი მითხარო?
მათხოვე ბარი, ნიჩაბი,
სამარე ამოვითხარო.





ვაჟკაცსა გული რკინისა

მხედრული ნაბრჯით

დამწყობი გუნდი

ვაჟ-კაც-სა გუ-ლი რკი-ნი-სა ჰოი ჰოი ო-ლი-ლა

დე-ლი დე-ლი დე-ლი დე-ლა დელ დე-ლა ნა-ნი-ნა

(ფოსტაჰერაზმილიძეან)

აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორებლივ მხედანნი,
მუხლები შევიარდნისაო.

თარგმანი

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს
ნადირსა შვის ტყისასა,
ეინც დახვდა, იგივე დახვდება
ურიცხვსა რაზმსა მტრისასა.

თარგმანი

ხმაღს ნუ უყურებ, ვეჟ-კაცო,
ხმალი მშვიერი მგელია;

ვაგიკრის, წავიხადისებს,
ბოლოს საფლავის შობრელია.

თარგმანი

მგელი არ იშლის მგლობსა,
კარგი ემა მამაკობსა,
არწივი, — არწივობსა,
შთის ყურეს ნადირობსა.

თარგმანი

ეგრე უნდა, გულო, მტერსა
მოჰქერ თივი, მიეც ხელსა.





ღინჯათ ჰინველი მხაზე

თანდათანობით სიჩქარით

ჰეი ვი-სი-ბ, ვი-სი-ბ ქა - ლი ლა-მა-ზი

იმავე სიტყვებს
მეორე მხარე

ჰო ჰეი ვი-სი-ბ, ვი-სი-ბ ქა - ლი ლა-მა-ზი ჰო

ღიდის სიჩქარით

ჰეი ახ - ლა ვი შე - მო-უ - ა-როთ ჰი ჰი

მეორე მხარე ჩამოხტევი იმეორეს
იმავე ჯილვის და სიტყვებს.

მას უკეს თვალ-წარბი და ქცევა ნაზი,
დაღალი კავები, წამწამ-არვაზი,
ტუჩი (და) საღიმოთ გამოწამზადი,
კბილი (და) აღმასით გამოწათალი,
ხოხობის (და) ყელი ბჭეთ მონახაზი,
საროსა (და) ტანი ვერხვით ნახარდი,
გული, (და) რა გული, მკერდ-ბუმბერაზი,
ედემსა (და) რგული, ვით ია ნაზი;
ვისია, ვისია ქალი ლამაზი?
ჩვენია, ჩვენია ქალი ლამაზი;
ცას ვეტყვი მის ქებას ენა-ფაქიზი,
ხმელეთს (და) გავუშლი, ვით ფიანდაზი.
ეხლა კი შემოვუაროთ,
დავაგუგუნოთ ლხინია,
ქალი ბევრი ვათამაშოთ,—
მარიამი და თინია.





+ ფერხულის შემდეგ სათამაშო +

შვირცხლად
ღაწყობი

ბა-ნი მით-ხა - რითბი - ვე-ბო ვა - ლა - ლა - ლო

გუნდი

ბა - რუ - ლა - ლო ვა - რი-ვა - რა - ლო ჰო

თავიდანვე.

ბანი მითხართ, ბიჭებო,
თარხალალო ვსთქვათ ხმინი.

დაწყობი

აქედან გორი შორი,
თვილ-მარგალიტი ბროლია,
თქვენ სანახავად მოვსულვარ,
სხვა საქმე არა მქონია.

თარხალი

აქედანა და შენამდინ
ვარდი მასხია ენამდინ
თუ ვინმე გამომიშვებდეს,
სირბილით მოვალ შენამდინ.

დაწყობი

ნისლს დაუბურავს მთა-ბარი,
ერეკლე მეფეს მგლოვობსა.


სულ დაითალხა ქართლ-კახი,
აღარგინ არა ომობსა.

დაწყობი

ყმა უმღერალი არ ვარგა,
ვაე-კაცი უბელგბელი,
ვაე-კაცსა უბელგბელსა
ქალი სჯობს უბსენგბელი.

თარხალი

ნეტა რავექნა, როგორა ვქნა:
აგი დედამთილი ხარო,
არასა ვქამ,— უქმელი ხარ,
ვქამ და,— ასე სვაფი ხარო;
ნელა დავალ,— ზანტს შეძახის,
გავიქცევი,— ქაჯი ხარო,
ძირსა ვზივარ,— კუტს შეძახის,
ზეზე ვღგვეარ—სარი ხარო.





ქანტატი

მუს. ი. პარპრაძისა

სიღინჯით.

მთქმელი

სიღინჯით.

გუნდი

პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ
 პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ
 პი. - პუნა პი. - პუნა პი. - პუნა

სიტყვა რამ ცოდვილისა ა. შე. ნე. ზა და ღოვლათი ამ თქვენი ოჯა. ხი. სი. ო

პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ
 პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ პი. - პუნპიპუნ
 პი. - პუნა პი. - პუნა პი. - პუნა



ან. ვკლდის თაღლი და დღეცა მთვითსაო

პი - ჰუნ ჰიპუნ პი - ჰუნ ჰიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ პიპიპუნ

პი - ჰუნ ჰიპუნ პი - ჰუნ ჰიპუნ პი - ჰუნ ჰიპუნ პი - ჰუნ ჰიპუნ პი - ჰუნ ჰიპუნ

პი - ჰუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ

პი - ჰუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ

პი - ჰუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ პი - ჰუნ პიპიპუნ პიპუნ

კაცი გაუფრთხილებილნი ათერაკს წაეცილება,
მტერი მოიგდებს ხელშია, მოსისხლედ შეეჭიდება,
უგრძნობსა მაშინ არ არგებს მეთი სიმძლაერე, დიდება.
მეომარი უგრძნობელი სიკვდილს ზურგს აეკიდება,
ფაჟ-კაცად იგი მიქია, ვინც მტერსა გაუფრთხილებია
უგუნურს კაცსა, ლაჩარსა სიკეთე დაუშვირდება,
ვით ვირსა მკლესა, უსუსურს საბაღნე დაუშვირდება.

დასრულდა

მტკეთას სდგას ოქროს აკვანი, შიგ ნათობს კელაპტარიი,
შიგა წვეს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია;
გმირს დაუხუჟაეს თვალები, მაგრამ არ არის მკვდარია;
შვილებს ვადუგლო ბექთარი, ფბა-სისხლიანი ხმალია:
სანამდინ ვიყავ, კარგ ვიყავ, მიმდარ-მოვდარი ზღვანია,
ესლა თქვენთ ჩამბარებავ ქართველთ მთა და ტაძარია.





ნანი-ნანი



Piano *P*

Musical notation for the first system, piano accompaniment. It consists of two staves: a treble clef staff and a bass clef staff. The key signature has three flats (B-flat, E-flat, A-flat) and the time signature is common time (C). The music begins with a piano (*P*) dynamic marking.

Musical notation for the second system, piano accompaniment. It consists of two staves. The key signature and time signature remain the same. The music includes a *rit.* (ritardando) marking and ends with a fermata and a star symbol (*).

ნანი-ნანი ნანი-ნანი-ნანი-ნანი, ნანი-ნანი

Musical notation for the third system, vocal line. It consists of a single treble clef staff. The lyrics are written below the notes. The music includes a *rit.* marking and a ** simile sempre* instruction.

სიმღერა შესრულება დანჯაოთ.



ნა.ნა.ნა.ნა. - ო. ნა.ნა. შვი ლოგე. ნაცვა - ღო,

The first system of the musical score consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line is written in a treble clef with a key signature of three flats (B-flat, E-flat, A-flat) and a 3/4 time signature. It contains five measures of music with lyrics underneath. The piano accompaniment is written in a grand staff (treble and bass clefs) and consists of five measures, each corresponding to a measure of the vocal line. The piano part features a steady accompaniment of eighth notes in the right hand and quarter notes in the bass line.

ღედა სხვა ზედას გასცვა - ღო, ნა.ნი.ნა ნა.ნა.ნა.ნა.

The second system of the musical score continues the vocal line and piano accompaniment. The vocal line has five measures with lyrics. The piano accompaniment continues with five measures, maintaining the same rhythmic and harmonic structure as the first system.

ო. შვილო,ნა - ნა,ღა. ი.ი.ი. ნე, ღელის ნა.

The third system of the musical score concludes the vocal line and piano accompaniment. The vocal line has five measures with lyrics. The piano accompaniment continues with five measures, ending the piece.



ნაგოგონე, როცაუ. უკაცობაღე

დღისსიტ. ყვამოგონე; ნანი. ნა ნა. ნა. ნა. ნა.

ო, შეიღონა, გენაცვალო.

rit. **ppp**

rit. * *rit.*



მუზნას



მ. შ. კარბაჩოვლის

I ♯ მხა. *Andante sostenuto.*

Andante sostenuto. უნაზ - რე - მის ცის - ჯა -

Piano. *p*

რა ხარ ძელო - ნა - - რა მა. ნა - თობლათ აღ. მომ.




ხდა - ზი სი - (2) სი ცოც - ხლე.
ციც - ხლე.

rit. (2) გულნა - რა.
სი-ციც - ხლე.

კა კა გულ - ნა - რა,
სი - ციც - ხლე.

col canto

შენ ვარდი ხარ ედემს რგული,
არშეისა წელი მდაგი;
პირველ გიქვბ გიშრის თვალებს,
ზედ გადართხმულ შვილდებრ წარბებს.





ორთა ხანობდროს

ყრბოთათვის

მუს. ი. სკვანავაძის

სიმღერა *Allegro grazioso.*

Piano *Allegro grazioso.*
p

მე პა. წი. ა მერცხა-ლი ვარ



მოქი-ქი-ვი. ში-ა- ღებ- სე.

The first system of music consists of three staves. The top staff is a vocal line in G major, with lyrics 'მოქი-ქი-ვი. ში-ა- ღებ- სე.' written below it. The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The music is in a simple, homophonic style.

ნეტ- ვი-რა დავი-შა- ვე

The second system of music consists of three staves. The top staff is a vocal line in G major, with lyrics 'ნეტ- ვი-რა დავი-შა- ვე' written below it. The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The music continues in the same homophonic style.

ქვეს-რო მესვრი ში-ქო სე- სე!

The third system of music consists of three staves. The top staff is a vocal line in G major, with lyrics 'ქვეს-რო მესვრი ში-ქო სე- სე!' written below it. The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line.



ქვე-ბსრო მე-სე-რი ბიჭო-სე... სე?

ri tar dan do

სიყვარულით, სიხარულით
 მთები, ზღვები გადმოვლესე,
 სანამ შენთან მოვიდოდი,
 ერთხელაც არ დავიკენესე.
 შორით თვალებს ვიკოცნიდი,
 ცის ლაქვარდში ვსრიალებდი,
 ვკოკიკობდი, შეგამკობდი,
 სულ შენ შემოგტრფივალბდი.
 ცხრა-მთა გზიდან მომხეილი,
 მოღალუღი, მოქანცული,
 დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
 შენ გეჭებდა ჩემი გული.
 აი მოველ, დაგინახე,
 გულში ია-ვარდი ვთესე,
 ავკიკიკიკი უფრო ტბილიათ,
 ხმები გავიუკეთესე.
 გეფიკები და-მომბასა,
 გზაში ერთხელ დავიკენესე,
 არ გრცხენიან, უმიზეზოთ
 ქვებს რომ მესერი, ბიჭო, სესე?!

მუსიკა

ჩემო პატარა მკობველებო, თქვენ ბევრჯერ გაგიგონიათ სიტყვა „მუსიკა“; აი, თუნდ სოფლად პატარა გოგონებისგან ხომ შემოგსმენიათ: ნათელა, თეკლე, გულნარა, წადით, ღაირა და ბუზიკა გამოიტანეთ, ლხინი გაეჩინოთო! ან აი, ქუჩაში როცა მიდიოდით, დააკვირდით ბოძებზედ ან კედლებზედ აკრულ ქალაღღებს; ამ ქალაღღებზედ დაწერილ სტრიკონებ შორის ხშირად შეგხვდებათ: მუზიკა ზ. ფალიაშვილისა, მუზიკა დ. არაყიშვილისა, მუზიკა ვაგნერისა, მუზიკა ბეთჰოვენისა, შოპენისა, გუნოსი და სხვა. აბა, იქნებ თქვენგანმა ვინმე იცოდეს და გვიამბოს: — სადაურია და რას ნიშნავს ეს სიტყვა? არაეინ არ იცის განა? მაშ დამიგდეთ ყური, მე ვიპოვებთ სადაურია და საიდან წარმოსდგა სიტყვა „მუზიკა“.

სანამ ამ სიტყვაზედ რამე თქმულებას ვიამბობდეთ, გეტყვით, რომ მუზიკა წარმოსდგა სიტყვა მუზა-საგან; მუზა კი ბერძნული სიტყვაა და ქართულად რომ გადმოთარგმნათ: მუზა—უბილავი, ფართლი, კეთილი სული, ანგელოზი.

ვის უწოდებდნენ ბერძნები მუზებს?

ძველებურ დროს, ძველს სამბერძნეთში ხალხსა სწამდა, რომ ყველა კაცს რამე ნიჭი ამშვენებს, ავირგვინებსო, ასე ესთქვათ, ასხივოსნებს მის არსებასო, რამე ნიჭში გამოიხატება ადამიანის სულის სიფაქიზე, სიმშვენიერე, უმწიკველლობაო. გეტყვით მაგალითებით: აი, ჩვენი შალიკო კარგი, კვიანი ბიჭია, კარგათაცა სწავლობს, ძალიან უყვარს ანგარიში, ქართული ხალხის ისტორია, მაგრამ ხატვა ყველაზედ ძალიან უყვარს; წარმოიდგინეთ, ისე მშვენივრად აზავებს ერთმანეთში სხვადასხვა საღებავებს და ისე აფერადებს, რომ მისწავლებელიც და ამხანაგებიც აღტაცებაში მოჰყავს. მაშ-სადამე, შალიკო ნიჭიერი ბიჭი ყოფილა, მაგრამ ხატვის ნიჭით კი ერთი-ორად ყოფილა დაჯილდოვებული.

ხომ იცით, ჩვენი ტატე რა მშვენიერ ლექსებსა სწერს! ვახსოვთ, აი, იმ დღეს რომ კლასში წაგვიკითხა თავის გამოთქმული ლექსი „სამშობლოს თავისუფლება“. ისე გვასიამოვნა და გავიტაცა, რომ გგონებოდათ ჩვენ ყველანი ავტო ერთი დროშის ქვეშ ვდგევართ და ვემზადებით ჩვენი ხალხისა და სამშობლოს მტრებთან სამკედრო-სასიკოცხოლო ომი, ბრძოლა ავტებოთო. რასაკვირველია, სხვებიცა სწერენ პაწია ლექსებსა, მაგრამ ჩვენი ტატე უფრო გრძნობიერათა სწერს და ეტერებება კიდევ ლექსების გამოთქმა, აზნარად, ტატეს ლექსების წერის ნიჭი ჰქონია.

აი, ავიღოთ თუნდა ოთარი; ხომ იცით, რომ ჩვენ სკოლაში ბევრი სწავლობს, და უკრავს კიდევც, კიანურზედ; ხოლო ოთარი რომ დაუკრავს ხოლომე, გვგონებთ სიმები ტირინო,—ისე ტკბილათ და ლმობიერათ უკრავს ეს დალოცვილის შვილი. და არამც თუ კიანურზედ უნდა მოუსმინოთ, რა მშვენიერათ უკრავს თურმე, როიალზედ; მე ვნახე; ამ ერთი კვირის წინათ ჩვენი ღარიბი ამხანაგის სსარგებლობათ რომ საღამო გამართეს, იქ შეასრულა ზოგიერთი ქართული სიმღერა და უნდა გამოგიტყდეთ, პირველი მე მივედი და მადლობა გამოვუტყადე იმ სიამოვნებისათვის, რაც მე იმ სიმღერების მოსმენით ვიგრძენ, მაშასადამე, ოთარს მუსიკის ნიჭი ჰქონია.



ძველს საბერძნეთში ხალხსა სწამდა და, ამაზედ მათი ფილოსოფოსები ბევრსა; სწარ-
დნენ, რომ ადამიანის არსებას ცხრა ნიჭი ავირგვივნებს, ეს ცხრა კეთილი ნიჭი ჩვენი
მას ხელმოწიფედ ხილული ქვეყნიერებისა, ამ ცხრა ნიჭით იგი უპირატესობს და ანგელო-
სხვა ცხოველთა შორისა; ამასთანვე ხალხსა სწამდა, რომ თითო ამ ნიჭთაგანს თავ-თა-
ვისი ანგელოზი დაჰფრთხვს, რომელიც ამ სიკეთეს შეფარველობს; აი, ამ უხილავ ძალეგს,
რომელნიც ამ კეთილ ცხრა უმთავრეს ღირსებას ღირსეულობას უწევდნენ, ბერძ-
ნები უწოდებდნენ მუზეებს. ამ ნაირათ, ეს ცხრა ანგელოზი, ანუ ცხრა და, ძველ
ბერძენთა აზრით, უხილავ კეთილ, ერთად შეტკობილ არსებას წარმოადგენდნენ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ წარმოსდგა მუზისაგან მუზიკა, ამაზედ ჯერ
არაფერი გვითქვამს.

ერთ მშვენიერ დღესაო, გვეუბნება გარდმოცემა, როცა ხალხმა არ იცოდა და არც
მოესმინა ტკბილი, მწყობრი დაკვრა-სიმღერა. საიდგანდაც მოფრინდნენ ეს ანგელოზები
და დაიწყეს სოფლად და ქალაქად სიმღერაო, ხალხს, რომელსაც ჯერ არ გაეგონა ტკ-
ბილი სიმღერა, სმენად გარდქეცა და აღტაცებაში მოდიოდა; ამ ცხრა და მუზეებს კი
სხვა საქმე არა გააჩნდათარა და მღეროდნენ განუწყვეტლად დღით, საღამოთი, ღრუც
და ღამეცა; ერთის სიტყვით, მათ საქმიანობას სიმღერა შეადგენდა; რასაკვირველია, ხალ-
ხმაც მიჰბაძა მუზეებს და იმანაც დაიწყა სიმღერა; მთელს საბერძნეთს მოედო ეს საქმი-
ანობა; მღეროდა ხალხი, მაგრამ ერთი რამ აფიქრებდა: ქვეყნიერობაზედ ყველა საგანი,
თუ მოგლენა თავის საკუთარ სახელს ატარებს, ხოლო ამ ანგელოზების საქმიანობას კი
სახელი არა აქვს, უსახელოა, რა დაარქვას, რითი მონათლოს კაცმა ანგელოზების საქმი-
ანობა. ბევრი ფიქრისა და რკვევის შემდეგ საბერძნეთში ამ საქმიანობას უწოდეს ანგე-
ლოზებისაგან სახელი; ერთის სიტყვით, უფრო მკაფიოდ რომ ვსთქვათ, ხალხმა ანგელო-
ზების მიერ მოტანილი საქმიანობა მონათლა და სახელად დაარქვა მათივე სახელი. აი ამ-
ნაირად მუზა ვადაკეთდა მუზიკად და სიტყვა მუზიკა აქედან იწყებს თავის არსებობასაც.

ურმული „ქალიაღაღა“.

ემაწვილებო, გაგიგონიათ სოფლად ურმული? ვის არ გაუგონია, რომელ ქართველ
კაცს არ სმენია მისი გულწაბრობილი, ჩამაფიქრებელი, სიმწარით აღსავსე ჰანგი? მარ-
თლილი გითხრათ, არა-რა ქართული სიმღერა არ ადაფრთხვებს ქართველი კაცის სმენას ისე
დასაწველად და სალოცავად, როგორც ურმული. ჩემო მეგობრებო, თქვენ ხომ მღერით
ქართულ სიმღერებს? დამეთანხმებით, რომ ყველა ქართულ სიმღერას რაღაც სიმწუხრის
იერი, ტირილის ბინდი მოსდევს; სიმღერა ჩვენი ხალხის მრავალტანჯული ცხოვრების ფურ-
ცელია, ხოლო ურმული ქართველი ერის წამებული ცხოვრებიდან გაღმთვარდნილი მღუ-
ლარე ცრემლია და ამ სიმღერას ქართველი კაცი მაშინ მღერის, როდესაც მისდა შეუ-
მწნევლად, მისდა უნებურათ მისი ცხოვრება ესე ნათლად, ესე მკაფიოდ შეეძარება აწ
მის თვალწინ მიმდინარე მომენტს.

ეხლავე დავინახეთ, რომ ეს ესეც უნდა იყოს; როდის მღერის ქართველი ამ სიმღე-
რას? ამ სიმღერას იტყვიან მაშინ, როდესაც პირუტყვი თავის მადლიანი ქედით მძიმე
ტვირთს ეზიდება. ქართველი კაცი უნებლიეთ, რაღაც უხილავის ძალით გრძნობს სი-
ნრცესივანეს იმ სიმწიფისას, რასაც პირუტყვი განიცდის ამ ტვირთის ზიდვაში და აი,
ქართველი ამ სიმწიფეს აფრქევებს იმ მღუღარე ცრემლს, რითაც მოიტრია მან ოდესღაც
ადამიანის უმაღლესი ტანჯვის განცდა.



ურმულში შეამჩნევდით, რომ მეორემ სიმღერას იწყებს სიტყვით: ჰალიალალო; ამ სიტყვას მოჰყვება ლექსი და სიმღერას დაათავებს ჰალიალალოთივე. საიდან სიტყვა ჩვენში შემოტანილი და რას გვეტყვის იგი,—მე მინდა ამაზე გემსჯინებოდით. გითხრათ ის საეგებო აზრი და დასკვნანი, რომელიც მე გამოვიტანე ამ სიტყვაზედ შრავალი ფიქრისა და შესწავლის შემდეგ.

ჩემო მეგობრებო, ქართული ჰალიალალო უნდა უდრიდეს ბერძნული სიმღერების ჰალიონეს; ჰალიონე ანუ ჰელონე ეწოდებოდა ბერძნულ სამწიგნრო სიმღერებს, იგი იმ სიმღერებს, ჩვენ რომ ვუწოდებთ მოთქმას, ზარს. იქნებ თქვენ იცოდეთ, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში იციან მოთქმა-ზარა და რა დროს იტყვიან ამ სიმღერას?

დღესაც მოთქმა-ზარით ტირილი ფრიად გავრცელებულია მთაში ჩვენ მოძმეთა შორის; აქ მოთქმა დაკავშირებულია აღმიანის სიკვდილთან. ესთქვათ; გარდაცვალა რომელიმე წვერი ოჯახისა; შემოკრებიანი ნათესაინი და ნაცნობნი მიცვალებულის გარშემო, ამისთანა შემთხვევებში გამოკვლინი პირნი წამოდგებიან წინ, დეყუდებიან ზოგი ჯოხს, ზოგი კუბოს, ზოგი დგას გულხელ-დაკრფილი და იწყებს ერთი მთავანი ლექსობას, რომელიც შეაქებენ და აღნიშნავენ მიცვალებულის სხვადასხვა მხარეს: მის გულკეთილობას, გულუხვობას, სიამაყეს, დარბაისლობას, სტუმართმოყვარეობას, დავრდომილ-დაწარულთა შებრალებას, მფარველობას, გამკითხველობას და სხვა. იგი, ამისთანა ტირილს მთაში ეწოდება მოთქმა, ანუ ზარი.


ბევრს ძველებურს ზალს ჰქონდა ჩვეულებად მიცვალებულის ანაირად ტირილი; საბერძნეთში ხომ იგი ფრიად გავრცელებული იყო და აქ, საბერძნეთში, როგორც ვითხარია, ამისთანა ჩვეულებით ტირილს უწოდებდნენ „ელიონე“—„ჰალიონე“. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბერძნეთი ფრიად კულტურული, განვითარებული და დაწინაურებული ქვეყანა იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვეულება სხვა ხალხებმა იქიდან ვადიდეს; ეს აზრი კი ერთი-ორად მართლდება მაშინ, როდესაც გვეცნობით ბერძნული მუსიკის ისტორიის ერთ გარდმოცემას, რომელიც სარჩულად დაედო ზარის თქმის ჩვეულებას მიცვალებულზედ.

აი ეს თქმულება:

უხსოვარ დროს საბერძნეთში მბრძანებლობდა ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟი. ამ ვაჟს ერქვა ლინოსი. ერთ მშვენიერ დღეს ეს ხელმწიფის პატარა ვაჟი უზარ-მზარ სასახლის ბაღში დასეირნობდა; ბავშვის უზრადება ბუნების სიმშვენიერემ მთლად დამოწაფა, ჩაულაბა და ისე ღრმად შეეცურა ვართობის ტალღებში, რომ სასახლეს კარგა მანძილით დაშორდა; ბოლოს ისე აერია და დადგა გზა, რომ ხელმწიფის შეიღობა, სახლის მავიერი, ტრიპოლ მინდორში ამოჰყო თავი. აქ მეცხვარეები ცხვარს ამოეებდნენ; ნახეს გზა დაბნეული, მომტირალი ბავშვი, შეებრალოთ, მიიყვანეს თავისთან, დალოლი-დაქანცულ ბავშვს ასვეს, აქამეს, მისცეს ბინა; სხვანაირათ ან კი როგორ შეეძლოთ ეშველათ მეცხვარეებს ამ ბავშვისთვის! ბევრს ეკითხებოდნენ მწყემსები ვინაობას, მაგრამ ბავშვი მარტო ცრემლით უპასუხებდა მათ. ასე მიდიოდა დღე, ღამე, წლები; ბავშვი სცხოვრობდა მეცხვარეებთან და იტანდა მათთან ერთად სიცივეს, სიშინელს, შიმშილს, წყურვილს.

ბედმა ხელმწიფის შვილს ეს ტანჯვა არ აკმაბრა.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც თვალგადუწვდენელ ტრიპოლ მინდორზედ ცხვრის ფარა წყნარათა სძოვდა, ცხვრის უზარ-მზარი კოფაკი ძაღლები უცბათ რაღახვდაც წაიკიდნენ, ეტყენენ ერთმანეთსა და, დახე უბედურობასა, გააღმასებულმა ძაღლებმა ეს პატარი ბავშვი ფეხქმე წაიგდეს. დინახეს ეს მეცხვარეებმა, გამოეშურნენ აქეთ-იქედან კომბლებით და ძაღლები ძლივს გააშველეს; მაგრამ დახე, აქ მაშინელი სურათი ნახეს: გა-



აფთრებულ ძაღლებს ბავშვი ზედ შუაზედ გაეგლიჯათ. რასაკვირველია, ეს სახარველი ამბავი სოფლებსა და მთლიად თვის ელვის სისწრაფით მოედო; ხელმწიფის შვილი — მისი თანა მკაცრი, უპატრონო და უღმობელი სიკვდილი ხალხის გულს ღრმად ჩააქაჩა და მისი თანაგრძობა და შებრძობა გამოიწვია. და იგი, ხალხსაც მისი თაობაზედ ააწყო მრავალი თქმულება: ერთში მოსთქვამდნენ იმაზედ, თუ როგორ იტანდა ბავშვი ობლობას, როგორ იგონებდა იგი თავის მშობლებს, რა სიტყვებით სტიროდა იგი დედის და-შორებას, როგორ, რა სიტყვებით შეამკობდა იგი დედის ნაწას, აღერს; მეორე თქმულებაში ხალხი მოსთქვამდა იმას, თუ ბავშვი როგორ იტანდა სიმშლის, სიტყვებს, სიცივეს; მესამე ჯურის თქმულებებში ხელმწიფე და მისი ცოლი სტირიან და აკარგულ შვილს, მინდორსა და კლდე-ღრვში უპატრონოდ დაქრილ-დაკაფულს და სხვა და სხვა.

კილო ამ ლექსთაწყობილებისა იყო ფრიალ დამაღონებელი, სამწუხრო; ავაჯა მისი ითქოდა თავსა და ბოლოს „ეილინე“ს წართქმით და ხალხმაც ამნაირ ლექსთა წყობილებას დაარქვა ბავშვის — ხელმწიფის შვილის სახელი „ეილინე“.

ამნაირად, ჩვენის აზრით, ბერძნული „ეილინე“ არის „პალიალოლო“. სიტყვები რომ დაეანაწილოთ, მივიღებთ შემდეგს: ბერძნული „ეი“ უდრის ქართულ „ო ს“; „ლი“ იქაც და აქაც წარმოადგენს შემოკლებით, თქმულებაში გმირი ბავშვის სახელს — ლინოს-ლი; „ნე“ უდრის „ალოლოს“. ამნაირად, პალიალოლო-ში (ხანდახან ქართლში იტყვიან „ვალიალოლო“ ესე იგი ვაი — ლი — ალოლო) ჩატანებულია შემდეგი ზინაარსი: ვაი, ან პაი, ლინოს ალოლო, მართალო, უდნაშაულოდ ალაღად დასჯილო დღუპულო ვაი შენ, სობრალო, უდნაშაულოდ ალაღადდასჯილო ლინოს-ო.


პაწიებო, მამ რა დასკენა შეიძლება აქედან გამოვიყვანოთ? ის რომ, 1) ქართული ყრბულის პალიალოლო, ანუ ვალიალოლო მანქანებელია ამ სიმღერის სიძველისა. 2) ქართული ერი, როგორცაღაც მატარებელი ამ სიმღერისა, უნდა ეკუთნოდეს უძველეს ხალხთა ჯგუფს. 3) ამას გარდა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ყოფილა უხსოვარი დრო, როდესაც ჩვენი წინაპარი ისე დაახლოვებულნი ყოფილან ბერძნებთან და სხვა აღმოსავლეთის ერებთან, მათ ამ ხალხებს ჰქონიათ ერთი მასაზრდოებელი წყარო, პაუზი, საიდანაც იგინი იღებდნენ მასალას ამა თუ იმ თქმულება-სიმღერებისათვის.

ამნაირად სრული ქვეყნობა მცენიერებას აზრი, როდესაც ამბობენ, რომ ესა თუ ის სიმღერა, ანუ თქმულება არის ისტორიულ-არქეოლოგიური საშუალო ხალხის სულიერი ცხოვრებისა ამა თუ იმ ეპოქაშიო.

და რადგანაც სიმღერას, თქმულებას მცენიერებაში ამისთანა მნიშვნელობა ჰქონია, ამიტომ, ჩემო მეგობრებო, განათლებულ ქვეყნებში ხშირად, ძალიან ხშირად, ისტორიის და არქეოლოგიის მკვლევარი გულმოდგინეთ შეისწავლიან მუსიკას და მის ისტორიას და ბევრ შემთხვევაში ეს მცენიერის მუსიკის დიდი მკვლევნიც არიან ხოლმე.

თქმულება მეჩხრეყრეხედ.

პატარა მკითხველებო, კარგათ დამიგდეთ ყური; ეხლი მე მინდა გიამბოთ ერთი საწყალი, ღარიბი მჭონდურეს თავგადასავალი, რომელმაც თავისი მშვენიერი სიმღერითა და ჩონგურზედ დაკრით აატარა და გაუღვიძა გულში პატრონსური გრძნობები კაცის სისხლის მიმდის; მაგრამ სანამ ამაზედ რამეს გეტყვოდეთ, ვფიქრობ, მომეტებული არ იქნება ვითხარათ ორიოდ სიტყვა, იმაზედ, თუ როგორ უყურებდნენ ძველ დროს ესა თუ ის ხალხი სიმღერა — მუსიკობას და რა მნიშვნელობას აწერდნენ იგინი ამ ხელოვნებას.



საბერძნეთში, საქართველოში, ეგვიპტეს, ინდოეთსა და სხვა ძველებურ ქვეყნებში, ჩემო მეგობრებო, სიმღერა-მუსიკობას დიდ მნიშვნელობასა და ძალას აწესებდა. აქ ამ საშუალებას სახელმწიფოებრივი დანიშნულება ჰქონდა. სწავლა-განათლებლის საქმეში სიმღერას თანაბარი ადგილი ეკუთვნის სხვა საგნებთან ერთად. მაგალითად, საბერძნეთში კეთილშობილი შთაბრძნავლობის ვაჟი ვალდებული იყო სკოლაში შეესწავლა სიმღერა, ან დაკვრა სილამურზედ, ქნარზედ, ებანზედ, ბარბოზედ, ხუთძალზედ, ათაძალზედ და სხვა. კარგ მომღერლებს და დამკვრელებს სახელმწიფოში მფარველობას უწევდნენ, სი-
 ცოცხლეში აღმერთებდნენ, არა ჩვეულებრივ ადამიანს შვილითა სთვლიდნენ, ხოლო სი-
 კვდილის შემდეგ მათ სასაფლაოზედ შესანიშნავ ძველებს აშენებდნენ და ზედ ლოცუ-
 ლობდნენ. ისტორიის გარდმოცემით, საბერძნეთში ისეთი დიდებული მომღერლები ჰყავ-
 დათ, რომ მათი ტკბილი სიმღერა მკვდარსაც კი ანიჭებდა სიციხეს, ჯოჯოხეთში ტარ-
 ტაროვებს იმონებდა და ატკობდაო. მაგალითად ორფეოსი, — ეს დიდებული მომღერალი,
 — შთავიდა ჯოჯოხეთში, თავისი ტკბილი სიმღერით მოხიზლა აქ ტარტაროვები; მათ
 ორფეოსს საჩუქრად დაუბრუნეს ცოლის გვამი, რომელსაც იგი დაიძებდა. აქ, ნახა ჩა
 ტარტაროვებისაგან მოტაცებული უსულო გვამი, ორფეოსი ისე ტკბილათ იწყებს სიმ-
 ღერას, რომ მკვდარი გაიცოცხლება და წამოიყვანს ცოლს. ზოგი მომღერალი თვით
 ღმერთებსაც კი უჯიბრდებოდა სიმღერაში; აი მუზეიოსი, იგი იმდენათ გაკანდიერდაო,
 რომ სიმღერაში ღმერთებსაც კი შეეჯობა და ამ შეჯიბრებიდან იგი გამარჯვებული გა-
 მოვიდა; რასაკვირველია, ღმერთებმა ეს ვერ მოითმინეს, თავებდს მომღერალს დასთხარეს
 თვალები და ისე გაუშვესო, გვეუბნება გარდმოცემა. ეს კიდევ არაფერი, საბერძნეთის
 მომღერება სიმღერა-მუსიკაზედ უფრო შორს მიიღოდა; ძნელად შეგვხვდებით საბერძნეთის
 მწერალს, რომელსაც მუსიკისათვის გზა აეჭიოს და მისთვის ერთი თხუზულება მაინც არ
 ეძღვნას; მათი მეცნიერ-ფილოსოფოსნი ჰქადაგებდნენ თავიანთ ფილოსოფიურ თხუზულე-
 ბებში, რომ სიმღერა დეითური საქმეა, რომ სიმღერას შეუძლიან ცაში ღრუბლები გამო-
 იწვიოს და წვიმა მოავლინოსო; სიმღერას შეუძლიან დაამშვიდოს გააღმასებული და გა-
 აფთრებული ლომიო, ააქრებლოს და აამეტყველოს უსულო საგნებში და სხვა და სხვა.

ამნაირი შეხედულება იყო გამეფებული საბერძნეთისა და საერთოდ მთელი აღმო-
 საველეთის მწერლობაში და რადგანაც აღმოსავლეთის კულტურას, სწავლა-განათლებლას
 დიდი გავლენა ჰქონდა სხვა ერებზედ, ეკვი არ უნდა გეკონდეს, რომ ამნაირი შეხედუ-
 ლება ამ ხელოვნებაზედ სხვა ერების შემეცნებასა და მწერლობაშიაც მოიკრებდა ფეხსა.
 აი, ჩვენს მწერლობაშიც იზიარებდნენ პოეტნი ამისთანა აზრს სიმღერაზედ და უნდა ვი-
 ფიქროთ, რომ ეს პირდაპირი გავლენა იყო აღმოსავლეთის და კერძოთ საბერძნეთის მწერ-
 ლობისა. მაგალითად, — ხომ გავგონიათ შოთა რუსთაველი, ხომ იცით რაც დასწერა ამ
 დიდებულმა მწერალმა? ჰო და, როცა წაიკითხავთ მის ვეფხისტყაოსანსა, იქ შეგზვდებათ
 ამისთანა მშვენიერი ადგილი:

მიმღერდის ხმისა ტკბილსა, არ გასწყვეტდის ცრემლთა რუსა,
 მისსა ხმისა თანა ხმაცა ბუღბუღლისა ჰგვანდის ბუსა,
 რა ესმოდის მღერა ყმისა სქნად მხეცნი მოვიდინა;
 მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანაცა გამოსხდინა;
 მისენდინა, ვაჰკვირდინა, რა ატირდინა, ატირდინა;
 იმღერს ლექსითა საბრალოთა, ღვიარისებრ ცრემლნი სდინა.

ეს სიტყვები ამ გენიოს პოეტისა ნათლად ამტკიცებენ, რომ სიმღერის დიად მნიშ-
 ვნელობას ჩვენს მწერლებიც იზიარებდნენ და ამისთანა აზრს მუშუკა-სიმღერაზედ ჩვენმა
 სიამაყემ შოთამაც თავის გენიოსური ლექსით აი აქ აღნიშნა. რასაკვირველია, ამისთანა



აზრი სიმღერა-დაკვრახედ ხალხშიაც ვრცელდებოდა და ქართველი ერის სიმღერის ამისთანა ძალას გამოჰხატავდა ამა თუ იმ თქმულებაში. აი, დღეს-დღეობით შინა გვერდითი ხალხური თქმულება მერონგურგედ, სადაც გატარებულია ჩვენი ერის მერონგურგე ხსენებული აზრი სიმღერა მუხიჯახედ.

ერთ ქალაქში, იტყვის ხალხი, სცხოვრობდა ერთი ხელმწიფე, მას ჰყავდა ერთადერთი ქალი, რომელიც სიღამაშით მშენსა და მთვარეს ექიშებოდა; მის სიღამაზეხედ მთელს დღეამიწა მოუბნობდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეები უზგავნიდნენ ქალის მამას მოციქულებს,—შენი ქალი ჩვენ ვაგს მოათხოვეო. ქალიც და მამაც მთხოვენელებს უთვლიდნენ: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ბაღში იზრდება უკვდავების ვაშლი, ვინც იმ ვაშლს მოიტანს, ცოლიდ იმას წაუკვებოო. ყველა მიდიოდა ამ ვაშლის საქებნელად, მაგრამ მომსვლელი აღარაგინ იყო: რა ემართებოდათ იქ ამ ქალის მთხოვენელებს,—ეს არაგინ იცოდა.


მავე ქალაქში სცხოვრობდა ერთი მომღერალ-დამკვრელი მერონგურგე; ამ მერონგურგესაც მოსწონდა ხელმწიფის ქალი და აი, ერთ მშენიერ დღეს ეს მერონგურგე მივიდა ხელმწიფის სასახლეში და ხელმწიფის ქალს ხელი სთხოვა. რასაკვირველია, ხელმწიფემაც და ქალმაც მერონგურგეს იგივე წინადადება მისცეს, რაც ხელმწიფის შვილებს,—მოეტანა ქალისთვის უკვდავების ვაშლი. დაუკრა თავი მერონგურგემ ხელმწიფის ქალს და წამოვიდა სასახლიდან.

მეორე დღესვე ადგა ეს მერონგურგე, აიღო თავისი ჩონგური და გაუდგა შორეულ გზასა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გადიარა ცხრა მთა; აქ იგი მიადგა ერთ მშენიერ ბაღს, რომელიც იმისთანა უზარ-მაზარი მარმარილოს კედლებით იყო შემოვლენბული, რომ ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა.

იკითხავთ,—ეს რა ბაღი იყო?

ეს ის ბაღი იყო, სადაც უკვდავების ვაშლი იზრდებოდა; ბევრი სისხლი იღვრებოდა ამ ბაღის კედლების გარშემო, ბევრს გმირს, ბევრს ხელმწიფის შვილს გაურღვევია ეს კედლები მძლავრი ლაშქრით, ბევრნი შესულან შიგ, მაგრამ გამოსვლელი და გამოსული კი არაგინ ყოფილა და არც უნახავთ. მერონგურგემაც ბევრი უარა მარმარილოს კედლებს გარშემო, ბევრი ათვლიერა, მაგრამ ბაღს კარები ვერსად უბოვა. უვლის მერონგურგე ამ ბაღს გარშემო, უკრავს ჩონგურს და დამღერის ისე გატაცებული, ისე ტკბილათ, რომ გარეშო შიდაშომ და ხის ფოთოლთ შეწყვიტეს სუნთქვა, შეაჩერეს შრალი და სულგანაბით დაუურსებულნი მიიგდებდნენ ყურს ამ ცით მონაბერ დაკვარა-სიმღერას; ცაში თავისუფლად მონავარდე ფრთოსანნი ეშვებოდნენ ბაღში დაბურულ ხის ტოტებზედ ამ ხმების მოსასმენად; სუბუქის ფრთებით ფოთოლთა შორის მოაღერს-მონავარდე ნიაიცი შეჩერდა და მიუვლო ყური უცხო ხმებს. უკრავდა მერონგურგე თავის ჩონგურს, იტყოდა ტკბილი რაკაკით გულსაკლავ სიტყვებს და უვლიდა ამ ბაღს გარშემო.

მოსდა სასწაული: მოულოდნელად მერონგურის წინ უცბათ გაირღვა ბაღის მარმარილოს კედლები და მის წინ გადიშალა ვარდის წყლით მონაბული და სურნელოვანი ყვავილებით მოფენილი ბაღში მიმავალი გზა. მერონგურგემაც შედგა ფეხი ბაღში; ნელის ნაბიჯით მიდის მერონგურგე საშოთხესავით შემკული ბაღის ბეივანში და დამღერის გულსაკლავ სიმღერას. აი, შორს, ბაღის სიერცემში გამოჩნდა შესაზარი, უზარ-მაზარი გველა-შაბი, რომელსაც ტყეობაში ჰყავდა ოქროს ცხრაფეროვანი უკვდავების ვაშლები. ესმის გველაშაპს უტხო ხმები, დრდინავს, შფოთავს და ამბობს: ვინ არის ეს თავებედი და ვინ გაბედა ამ გზის ამორჩევაო. მერონგურგეც მღერის, გაემოსდის ცრემლები და ნელის ნაბიჯით მიიწევს წინ; მიდის მერონგურგე, მიდის და ისე აჯენებს სიმებს, რომ მისი მშენელი ქვა-გული ღნება. აი, ნაბიჯიც და მერონგურგე წაადგა კიდევ გველაშაპს თავზედ.



ლიდხანს უფლო ყური გველაშაპმა მერონგურეს, ჩონგურის სიმები კი ერთი ათად ჰკენესდნენ, ხმებმა იმატეს გრძობათა დღევა; გველაშაპი დაითრო, დაიბნიდა ტპილი ხმებით; ველარ გაუძლო ზვიადმა გულმა და სიამოვნების მორევში შეტურებულ მგონვეს პის თვალებს გადმოსკდა ცრემლები. გველაშაპმა არ იცის, რა ცრემლებია მტკნარად ზედ მორეული, ვისთვის, რისთვის, ან რაზედ აკენესდა ეს ზვიადი გული, რომელსაც მის დღეში არ უგრძენია სიყვარული, სიკეთე და ადამიანის შებრალება.

გულმა ველარ გაუძლო, გველაშაპმა გადმოჰხედა აცრემლებული თვალებით და ნახა, რომ მის წინ მდგომი ადამიანი ცრემლებით იღვრება, იმღვრება. უჯანსკნელად ჩამოკრა მერონგურემ, დასწყდა ჩონგურის სიმები, ამოიწურა გულის უფსკრულიდან მითროღარე სულმოპობავი გრძობაც, მისწყდა მკენესარე ხმებიც; სდგას თავდახრილი მერონგურე გველაშაპის წინ და გადმოსდის ცრემლები. აცრემლებული გველაშაპი უკურებს მერონგურეს.

გამოერკვია, მოვიდა გონს გველაშაპი, აილო შალა თავი, მოსწყვიტა უკვდავების ოქროს ეაშლი, მიაწოდა მერონგურეს, ნიშნად მადლობისა დაუკონა ფეხები და უთხრა: ჩემს სიცოცხლეში ამ ყურს არ სმენია მგნაირი ხმა, არ უგრძენია, არცინ არ მოსულა და არ დალაპარაკებია ამ გულს მგნაირი ვინთ; წადი, წაიდე ეს ვაშლი და გეფიცები და გაძღვე სიტყვას, რომ ამიერიდგან არ დავედრო შენი მგზავსი ადამიანის სისხლი, რომელსაც პირველად მაგრამობინა სიყვარული, შებრალება და სათნოება და მატარებელი ყოფილა მგნაირი ვინთაო.

გველაშაპმა უჯანსკნელად ერთი კიდე დაუკონა ფეხები მერონგურეს და თვალზედ ცრემლ მორეულმა გადილო თავი უკვდავების ვაშლისკენ.

აი, აშნაირად იმოქმედა კარგმა სიმღერაში და დაკვარ ამ ცხოველზედ, რომლის გულზევიადობამაც თავის დღეში ადამიანის გაუკეთხოებისა და სისხლის მსმელობის მტერი არა იცოდარა.


რეგორ აწყუა პითაგორმა ვაშმა.

პატრა მომღერლებო, ზემოთ დაგპირდით მეამბო თქვენთვის, როგორ აწყუა პითაგორმა ვაშმა. როგორც ვითხარით, პითაგორი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოს-მათემატიკოსი იყო და სტოკორობდა მეხუთე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ამ ფილოსოფოს-მათემატიკოსმა აწყუა ის რიგი ხმებისა, რომელნიც განსაზღვრული სიშორით არიან ერთმანეთს დაშორებულნი და ეწოდება ვაშმა.

აი რა გარემოებამ, რა შემთხვევამ მიავდო პითაგორი ამ აზრზედ:

ერთხელ ეს ფილოსოფოსი მიდიოდა ათინის ქუჩაზედ; გაიარა ერთ სამკედლოს წინ და შედგა; დაუგდო კარგათ ყური, სამკედლოდან მის სასიამოვნო ხმები ესმოდა და ამ ხმებმა მიიპყრეს ფილოსოფოსის ყურადღება. პითაგორმა ბევრი არ დააყოვნა,—დალუნა თავი და პირდაპირ სამკედლოში შევიდა. ამ სახელოსნოში მან შემდეგი სურათი ნახა: გავარვარებული რკინის ნაჭერი ერთს კაცს უჭირავს გრძელი მარწრულით ზინდანზედ; ზინდანს გარშემო სდგანან რამდენიმე კაცი, უჭირავთ ხელში სხვა და სხვა სიდიდის კვერები—ჩაფრასტი, ნარკი და სხვა და რიგრიგობით სცემენ ამ გახურებულ რკინას; აი ამ კვერების დარტყმიდან გამოიკვეთებოდა ის მშვენიერი ხმები, რომელთაც პითაგორის ყურადღება მიიპყრეს.

რასაკვირველია, ჩემო მეგობრებო, ქკვიანი, მეცნიერი კაცი საყურადღებო მოვლენასა თუ საგანს გზას არ აუხვევს; იგი აკვირდება და შეისწავლის მის ბუნებას; ამ



მშვენიერი ხმების წყრილმაც პითაგორი დაფიქრა და ცნობის მოყვარება აუძრა; უნდა და გავგო, თუ რა დამოკიდებულება იყო ხმებსა და ჩაქუჩების სიღრის შორის.

შინ რომ დაბრუნდა, ხანი აღარ ახანა: იღო რამდენიმე ცალი კანაფა სიგრიძისა, ერთი ბოლო კანაფებისა მიიბა მ:ლა გადებულს უღელს, კანაფების მეორე ბოლოზედ დაჰკიდა სხვა და სხვა სიდიდის სიმძიმე; რასაკვირველია, სიმძიმეებმა კანაფები დაჰმეს; გამოკრა პითაგორმა თითი ერთს კანაფს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს და შემოესმა, რომ კანაფები სხვა და სხვა სიმაღლის ხმას გამოსცემდნენ; შემდეგ ამისა კანაფები იმ რიგზედ დაჰკიდა, რა რიგზედაც სიმძიმეების თან და თანობა მოსდევდა; აი ახლა უფრო ნათლად დაინახა პითაგორმა, რომ რამდენიც ძალიან იყო კანაფი დაჰკიმული, იმდენათ იგი უფრო მაღალ ხმას გამოსცემდა; და როგორ გგონიათ, პაწიებო, დიდი სიმძიმის ქვები უფრო დასკიმავეს კანაფსა, თუ პატარა სიმძიმისა?

რასაკვირველია, დიდი სიმძიმე უფრო დასწევს და დასკიმავეს სიმს.

ამნაირად პითაგორი დაიწმუნდა, რომ რამდენიც მძიმე იყო ჭეა, იმდენათ ძალუმათ იყო კანაფი დაჰკიმული და ფილოსოფოსმაც ააწყო ხმები იმ თან-და-თანობის სიმაღლით, რა თან-და-თანობის სიმძიმეებიც იყო კანაფებზედ დაკიდებული.

თი ამ ერთმანეთს განსაზღვრულ სიშორებზედ მოკოლებზედ ხმებს, რომლებიც დიდის მზრუნველობითა და დაკვირვებით იყო აწყობილი, პითაგორმა დაარქვა გამმა, რომელიც როგორცა ესთქვით, ქართულად ნიშნავს კიბეს ანუ კლდე-ს.

„იავ, ნანა, ვარდა, ნანა“.

ყმაწვილებო! თი ჩვენ ვისწავლეთ სიმღერა „იავ ნანა, ვარდა ნანა“; იქნებ გეინტერესებთ იცოდეთ, რა არის ეს „იავ, ნანა“. ეს სიმღერა ისე გავრცელებულია ჩვენს სამშობლოში, რომ თითქმის ყველა ოჯახში მღერიან და არც წარმომიღგენის ქართული კაცი, რომელსაც ამ სიმღერით თავისი დედის ტუბილი აღერსი არ აგონდებოდეს.

სოფლად ხალხში იქნება გაგიგიათ ამისთანა სიტყვები ან დედისაგან, მაისაგან, ან რომელიმე მეზობლისგან: „ჩემი მზარველი ანგელოზო მწყალობდეს, თორემ, ეგ მე ვერას დამიკლებსო“, ან კიდევ: „ღმერთო, ჩემო მზარველო ანგელოზო, შენა ხარ ჩემი მხსნელიო“ და სხვა; ან კიდევ: „მზე კი გაგიკრესო“, „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“. ისიც გაგიგონებთ სოფლად.—ვარსკვლავი რომ მოსწყვდება და შთაინთქება ცის სივრცეში, იტყვიან ზოლმე: „თი, ეხლა ვიღაც მოკვდაო“; ან კიდევ: „ყველა კაცს თავისი მანათობელი ვარსკვლავი ჰყავსო“, ბევრი ამისთანა ცრუ-მორწმუნეობა გავრცელებული სოფლად ხალხში; ეს ცრუ-მორწმუნეობა დარჩენილია ჩვენში კვბა-თავანისძემელობის ხანიდან, ესე იგი იმ დროიდან, როდესაც ჩვენს წინაპრებს ღმერთი არ სწამდათ და კვრბ-თავანისძემეობის იყვნენ. „იავ, ნანა“-შიც უნდა იგულისხმებოდეს ღმერთი, რომელიც მოველია და ავათ გახადა ბავშვი ან ყვავილით, ან წითელით, ან ქუნთარუშით და სხვა. ისა და ვარდზედ მშვენიერი და საამო ყვავილი კიდევ არის რამე? და თი, ამ სიმღერაშიც ის იგულისხმება, რომ ისა და ვარდს მოგართმევთ, გაამებთ, ქვეშ ხალიჩას გაგიშლით, ოღონდ ჩვენს ავადმყოფს არა დაუშაოთ რაო. ხალხში ხომ ამოზენ: ჩვენ გივლას, თერას ბატონები იყვდა, ვენაცვალე იმათ სახელსაო. ჰო და თი, ამ ბატონ ანგელოზების სახელი უნდა იყოს „ნანა“, რომელსაც სიმღერაში შეაქებენ და ლექსის სიტყვებს მოაბამენ ხოლმე მომღერლები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „იავ ნანა, ვარდა ნანა“ უნდა იყოს ძველ-თა-ძველი ქართული სიმღერა, დაშენილი ჩვენი წინაპრების მიერ უხსოვარ დროიდან.



თქმულება ჩანგზედ.

მართალი უნდა ითქვას, ცოტა რამ ვიცით ჩვენ სიმღერებზედ, ჩვენს დასაკრავსა: ხიარულო იარაღებზედ და, თუ ვიცით რამე, ფრიად სასიამოვნო და ყურადსაღები ცნობებია. აი აქ მინდა გიაშობოთ მშვენიერი თქმულება ჩანგზედ, რომელიც ძალიან გაერკლეულია ზემო სვანეთში. (მასწავლებელი უხატავს დაფაზედ ჩანგს, რომ მოწაფეებმა იქონიონ წარმოდგენა ამ დასაკრავისა) დაშიგდეთ ყური: ყოფილა ვინმე მოხუცი გლეხიკაცი; მას ჰყავდა ერთი ვაჟი, რომლის სახელიც მთასა და ბარში იყო გაფარდნილი და მისი ვაჟკაცობით შთელი თემი ამაყობდა, მას ლოკულობდნენ, მახედ მოუბნობდა კაცი და ქალი; ყველა სიკვდილის შვილები ვართ; ერთ მშვენიერ დღეს ეს ვაჟი-კაციც ავად გახდა და ცოტახნის ავადმყოფობის შემდეგ თქვენი ქირი წაიღო. მიუღმა თემმა შავი ძაბა ჩაიცვა; რასაკვირველია, მოხუცი მამის მწუხარებასაც საზღვარი არა ჰქონდა, გლოვობდა ერთადერთ შვილს, იმედს, რომელზედაც ამოსდიოდა მზეც და მთვარეც, მოვიდა დრო დასაფლავებისა; მამა ვერ იმეტებდა შვილს, ვერ წარმოედგინა, რომ შავი მიწა შესჭამდა ვაჟკაცის მშვენიერ სახეს, ლომივით რკინის მარჯვენას, ფეხვად ნახარდ გულმკერდს და ოქროს ქოჩორს. მეტი ღონე არ იყო,—ხომ გაგიგიათ,—მიწა ხარ და მიწად იქცეო—მიწა მიწას უნდა მიჰბარებოდა. მაგრამ მამის სიყვარულიც დიდი იყო; ისე როგორ გაჰყარდა შვილს, რომ მისი მოგონებაც აღარა ყოფილიყო რა. უკანასკნელს ეამს, ამბობს გარდმოცემა, ადგაო მოხუცი, აპჯრა შვილის გეამს მარჯვენა კლავი, მოლუნა სამკუთხად ნიდაყვეში, სიმებათ გააბა ვაჟის ოქროს ქოჩორის თმები და ხმებათ ზედ დაადინა თავის მწუხარებისა და მოთქმის ცრემლები. ამ ნაირად, ამბობს თქმულება, ჩანგის ტანი-მკლავია იმ ვაჟი-კაცისა, სიმები—ოქროს თმები ქოჩორისა და ჩანგის მიბნედილი, მწუხარე ხმები კი ვაჟკაცის მამის გლოვის ცრემლებით.

იგივე თქმულება კახეთში.

ამავე თქმულებას ცოტა სხვა ელფერით იტყვიან კახეთში. ყოფილა დედის-ერთა, მშვენიერი სილამაზის ქალი; ამ მზეთ უნახავ ქალს დაუბირეს დედ-მამამ ძალით, მისდა დაუკითხავად ვათხოვება; ქალმა ეს ძალადობა ვერ მოითმინა; ერთ მშვენიერ ღამეს მოთმინება დაკარგულმა ოთახში თავისი დღალაი კავები შემოიხეცა ყელზედ, გადინა მარჯვენა მკლავზედ და ისე მაგრა ვასწია ნაწინავებს, რომ ქალმა სული დალია; და აი, აქ, კახეთში ამბობენ: ტანი ჩანგისა—მკლავია დედის ერთა ღამაში ქალისა, სიმები—მისი აბრეშუმის თმები და მკვენსარე ხმები ჩანგისა—ამ ტურფა ქალის ცრემლებით.

თქმულება სვტირზედ.

უმწივლებო, თუ არა ვცდები, სტირი ყველა თქვენგანს გაუკეთებია; ზოგს ასკილისგან, ზოგს ლელისგან, ლერწამისგან, ყანის ღეროსგან, დუღგულისგან და სხვა. ხომ გინახავთ ჯარს, ლაშქარს რომ მუსიკა მიუძღვის ხოლმე წინა; ჰო და აი, ამ მუსიკაში სხვადასხვაწაირი საკრავებია: ზოგი მხარზედ აქეთ გადადებულნი, ზოგი იღლიაში უჭირავთ, ზოგი მოკლეა, ზოგი გრძელი, ზოგი შავია, ზოგიც სამოცრის ფერი, ზოგს სპილენძისგან აკეთებენ, ზოგს შავი ხისაგან; ერთობ კი ყველანი სტირისაგან მომდინარეობენ




და სტვირი რომ არა ყოფილიყო გამოგონილი, შეიძლება არც ეს საკრებები ყოფილიყვნენ; აი, მე მინდა გაიზხოთ, როგორ გამოგონეს სტვირი. ხომ იცით, ჩინეთში არის? მართალია, აღმოსავლეთისკენ არის. ისიც იცით, აქ ვინა სტხოვრობენ? აქ სტხოვრობენ ჩინელები. იქნება ვინმე იცის, ჩვენ, ქართველებს რა გადმოგვცა ჩინელებისგან და რა არის დღესაც გავრცელებული ხალხში, ოჯახებში? თუ არ გავონდებით, მე მოგაგონებთ; განა არ გავივით: ჩინური კურქელი, ჩინური ჯამბი? რომელ ოჯახში არ აქვთ ჩინური კურქელი? ან ვის ვენახში არა სდგას გვირეილი ჩინური ყურძენი? ჩემის აზრით, ჩინური კურქელიც და ჩინური ყურძენიც სწორედ ჩინეთიდან უნდა იყოს ჩვენში შემოტანილი და აი, სწორედ ამ ჩინეთში მოგონეს პირველად სტვირიც.

უხსოვარ დროს, ამბობს გარდმოცემა, რამდენიმე ათასის წლის წინათ ჭრისტეს დაბადებამდე, ჩინეთში სტხოვრობდა ერთი მეფე; ერთ მშვენიერ დღეს დაიბარა მზრძანებელმა თავის სასახლეში ნახირ-ვეზირი, ნასწავლი ხალხი და უბრძანა: ისეთი რამე უნდა გამოიგონოთ, რის მინაგვარიც ჯერ არა იყოს რა ჩემს სახელმწიფოში და მისი ნახეთ და მოსმენით ჩემი ქვეშევრდომი აღივებოდეს ყოველივე სიკეთით და სიამოვნებით. ნახირ-ვეზირმა და ნასწაველმა ხალხმა დაუკრა თავი მზრძანებელს და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში; ამა, უწინდელ დროში მეფის ბრძანება ხუმრობა საქმე არ იყო; ვინ დაუშვებდა მის სიტყვას ძირს! ესენიც შეუდგნენ იმ ფიქრს, თუ ნეტა რა იქნება ისეთი, რომლის მინაგვარიც ჯერ არა იყოს-რა, რომლის მოგონებითაც ვაამებთ ხელმწიფესაც, ხალხსაცაო. თქმულბა გარდმოგვეცხს, რომ მათ შორის ერთმა შეცნირბა, რომელსაც ერქვა ლინგლუნი, მინაგა თავი სახლს, კარს, ცოლს, შვილს და დასახლდა ერთ ადგილას, სადაც ადამიანი იშვიათად ხელბოლდა; საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა ეს ადგილი; ეს არე-მარე მნახველს ხელაქებაში მოიყვანდა; აი პატარა ნორჩი ტუთი შემოსილი მთა, აგერ კამკამი წყარო, აი მდინარეც, რომელიც ათასნაირად შემკული სურნელოვანი ბალახ-ყვავილებით მზანდა და აღვიძებდა არე-მარეს; გაიკეთა ლინგლუნმაც აქ პატარა ქოხი და შეუდგა მეფის ბრძანების ასრულებას.

ერთ მშვენიერ დღეს ფიქრებში გართულმა ლინგლუნმა შეამჩნია, რომ დროგამოშვებით, დილა-საღამოს, მოფრინდებოდნენ ორი საუცხოვო პატარა ფრინველი, შემოსხდებოდნენ ხოლმე მის ქოხის შორი-ახლო ბუჩქზედ და ისე ტკბილად დაიწყებდნენ გალობას, რომ ლინგლუნი სმენად იქცეოდა ხოლმე და ავიწყებოდა მეფეც და მის ბრძანებაც. მაგარამ, ეს საუცხოვო ჩიტებიც ხომ სულ იქ არ იხსდნენ, გაფრინდებოდნენ ან მარცხლის ასაკეკაო, ან შვილების სანახაოდ ბუდეში; და რა წამსაც ლინგლუნს სიმღერა აღარ ესმოდა, მაშინათვე ეს ნასწავლი კაციც ფიქრსა და ვარაზს მიეცემოდა. ამ მდგომარეობაში მყოფმა ლინგლუნმა ბევრჯერ ინატრა ჩიტების ხმა მის სმენასთან გავსურელი ყოფილიყო; მაგარამ როგორ და რა გზით?

ადგაო, გვეუბნება თქმულბა, ლინგლუნი, გამოსჭრა იქვე წყლის პირას ლელი, ააჭრაო ერთი თელი, ჩაებრა და ამოადებინა ხმაო. ვაოცებული ნასწავლი კაცი დიდხანს იდგა გაშტერებული; ვერ წარმოედგინა, თუ უსულო სვანმა როგორ ამოიღო ხმა; ამოაჭრა მეორე თელი დღისს აფაღუს, ამოიღო მეორე ხმა, მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს მეოთხე და ამნაირად ლინგლუნმა გააკეთა სტვირი, რომლითაც ის ერთბოლად და ივიწყებდა ქირ-ვარაზს; ლინგლუნმა იგრძნო, რომ რაღაც მანუგეშებელი იარაღი უჭირავს ეხლა ხელში, რომელიც მას ერთნაირ საშახურს უწევდა; ბევრი აღარ ახანა, დგა და ეს გამოგონება მიაჩთვა თავის მზრძანებელს; ნახა ხელმწიფემ, სხვამაც ვრავალმა, — ძლიერ მოეწონათ ახალი გამოგონება; ამის შემდეგ გავრცელდა ქვეყანაზედ სტვირი და აი, ჩვენამდისაც მოაღწია ამ საკრავმა.



ვინ იყო შაპენი?

ყმაწვილებო, იქნება გაგიგონიათ პოლონეთი, პოლონელები, აი „პალიაკებს“ რომ ეძახიან. დამიდეთ ყურა: ისინიც ჩვენსავით დამონებული ხალხი იყო, ისინიც განიცდიდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის შიშიმ უღელს, რუსეთის ძალმომრეობას; პოლონელებიც ჩვენსავით დიდი ხანი გმინავდნენ რუსების ფეხ-ქვეშ. მიუხედავად იმისა რომ პოლონელები ჩვენსავით პატარა ხალხია, სამაგიეროდ ფრიალ განათლებულნი არიან და თავისი სამშობლო თავდავიწყებამდის უყვართ; ბევრი სახელოვანი მამულიშვილი ჰყავთ, ბევრმა დასდო თავის სამშობლოსათვის თავი, ბევრი მათგანი ეწამა და შესწირა თავის მამულს სიცოცხლე. აი სწორედ ერთი ამ თავდადებულთაგანი, მამულისათვის წამებულთაგანი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველად წმინდა სანთელსავით დააღწო და დასწვა თავის ხალხის სადღერძქელოთ, იყო შაპენი, ბედნიერია, ყმაწვილებო, ის ერი, ქვეყანა, ვისაც ამისთანა მამულიშვილები მოეპოვება!

ეს სახელოვანი პოლონელი დაიბადა 1 მარტს 1809 წ. ფრედერიკი ხელობით მუსიკოსი იყო; ზომ ოცით, ვინ არიან მუსიკოსები. აი, სიმღერებს რომ სწერენ, ჭიანჭრის-



თვის, საღამურისთვის დასაყრად სიმღერებს რომ სწერენ,— აი იმათ ეძახიან მუსიკოსებს; ჩვენც აკი გვეყვანან, თუ გავგივათ, ფალიაშვილი, არაყიშვილი, აი სწორედ ქართველ ხელობის ხალხს ეძახიან მუსიკოსებს. ბავშობითვე ფრედერიკმა დიდი ნიჭი გამოავლინა ფორტეპიანოზედ ისე მშვენიერად უკრავდა, რომ მთელი ვანათლებლრი ქვეყნები ალტაცებაში მოჰყავდა. ერთს საკვირველ მაგალითს ამბობენ შოპენის დაჯერისასა და შინდა ის გიმნოზთ: შოპენი მაშინ თორმეტის წლისა იქნებოდა; ერთ საღამოს შოპენის შობა-ღმინა წაენობებმა სტუმრად გაიწვიეს და თავისი პაწია სამი ბავშვი, როგორც უფროსს,— შოპენს ჩააბარეს. მალე ბავშვებმა იმისთანა ტირილი და ცელქობა დაიწყეს, რომ შოპენმა არ იცოდა, თავისი პატარა დაძმანი რითი დაეჭუმებინა და დაეწინარებინა. მოთმინება დაკარგულმა შოპენმა ძლიერ-ძლიოზით მოუყარა ბავშვებს თავი ფორტეპიანოსთან და დაპირდა ის მათ,— შობის ზღაპარს უამბობდა ფორტეპიანოზედ. შოპენი დაჯდა საკრავთან და მიეცა ოცნებას; უკრავდა და ატირებდა იგი საკრავს; ბავშვები გაინაბნენ, ყურს უგებდნენ ძმის ხმების შეტყვევებას; მათ ეხატებოდათ თეთრი თოვლით დაბურული ტყე; აგერ ქობიცი; შობის ღამეს გაიღო ამ ქობის კარი, შედის მეკრედიმდის თეთრის წვეთის შემოსილი ბერი კაცი; შეაქვს ობლებისთვის საჩუქრები, ხოლო ობლების დედასთან ვაჟი-კაცის მოკითხვა, რომელსაც იმ ქვეყნად დაუმეკიდრებია; მამა ეხვეწება დედას, მოუაროს მის თვალის ჩინებს, ნუ აგრძნობინებს ობლობას; ის იქ კარგათ არის და აკეთებს თავის გერიტებისთვის ბაღს, საცა ისინი მომავალში დასახლდებიან და სხვა და სხვა. სტიროდ-ნენ შოპენის თითებ ქვეშ ხმები ობლობას, სიღარიბეს, ტანჯვას, ვიებას; სტიროდა შოპენი, სტიროდნენ სულ-განაბული მისი პაწია და-ძმანიც.

ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდნენ დედ-მამა, რომლებიც ამ დიდებული სურათის მოწმენი გახდნენ. აი ასეთი დიდი ხელოვანი იყო შოპენი, მაგრამ ამითი არ გვირგვინდება ამ მამულიშვილის სიღაღც.


პოლონელები ვეღარ ითმენდნენ რუსეთის მონობას, იგინი რუსის ყაზახის თავაშვე-ბულობას რამდენჯერმე აუჯანყდნენ. ერთი ამისთანა აჯანყება პოლონეთში მოხდა 1830 წ. ამ ხალხის აღელვებას სათავეში უდგნენ მაშინდელი მამულის-შვილინი; მათ შორის შოპენიც. რუსის მთარახი ძლიერი გამოდგა. პოლონეთი განადგურეს ყაზახებმა, აიკლეს, ქალს ნამუსი აღარ შეარჩინეს, ბევრი დახერიტეს, ზოგი დაახრჩეს, ბევრი ციხეში დააღ-ბეს, ბევრს შორეულ ციხეს ციმბირში უკრეს თავი და ბევრიც სამშობლოდან სამუდამით გააძევეს, ისე რომ თავიანთ შობილეთან, ნათესავებთან, სწორთან და მეგობართან თვალის დახუჭვაკ კი არ ეღრისათ უკანასკნელ ჟამს. სწორედ ამისთანა ბედი ეწია შოპენსაც. იგი რუსის მთავრობამ სამშობლოდან გააძევა სამუდამით; რამდენიმე წელიწადი შოპენს ენატრებოდა თავისი სამშობლოს, ხალხის, დების-ძმების ნახვა; ის ცხოვრობდა პარიზში, ლონდონში, უვლიდა თავის სამშობლოს გარშემო, შორიდან მას ეტრფოდა, ხოლო მის შესვლას კი მთავრობა სასტიკად თვალს ადევნებდა. აქ სწერდა თავის საუკეთესო თხზუ-ლებებს, რომლებიც, როგორც ამბობენ მისი ნაწარმოების მკოდნენი, ტირილია სამშო-ლოს დაძარხული თავისუფლებისა, ტირილია ხალხის ტანჯვისა და ვიებისა.

ნ ოქტომბერს 1849 წ. შოპენი პარიზში გარდაიცვალა; უკანასკნელ ჟამს მრავალ-ტანჯულმა შოპენმა მოიხმო ნაცნობნი და უთხრა: „ჩემს მითრთოლვარე გულს ანდერძად ჩემს სამშობლოს ვუტოვებო“. რასაკვირველია, რუსეთის თვითმპყრობელობამ არც ახლა მისცა ნება, რომ შოპენი სამშობლოში მოესვენებინათ და აქ დაეკრძალათ; ხოლო დიდი დევი-დარა-ბის შემდეგ მის თაყვანისმცემლებს და მეგობრებს დართეს ნება, თანახმად შოპენის ან-დერძისა, მოესვენებინათ მისი გული და დაეკრძალათ ქ. ვარშავაში, წმ. ჯვრის ეკლეს-სიაში. აქ მის გულს მადლიერმა მამულიშვილებმა ეკლესიის კედელში აუგეს მარმარი-ლოს ძვირფასი სივანე და ჩაასვენეს შიგ ხალხის თაყვანის საცემად. შოპენის გვამი კი

დაკმაღეს დიდის პატივით პირისში ზერ-ლაშეს სასაფლაოზედ, იქ, სადაც განისვენებენ დიდებულნი მუსიკოსნი ქერუბინი და ბელლინი; ამ ორი კაცის შუა განისვენებს მისი ნიკ, მის სასაფლაოს ამშვენებს ძეგლი მარმარილოს მომტირალი ანგელოზისა, ხელში უჭირავს სიმებაჩაწყვეტილი ქნარ. და ადენს ზედ ცრემლებს.

შოპენის მთრთოლვარე გულს, რომელიც მან ტანჯულ სამშობლოს უანდერძა, ბედმა სხვა წამება არგუნა. მეფის მონა რუსები ამ უკანასკნელი ომიანობის დროს ისე გაბრაზებულნი, ისე ცოდ-მორთულნი ანებებდნენ პოლონეთს თავს, რომ სადაც გავილიდნენ, ქვას ქვაზედ აღარ უშვებდნენ, ცეცხლითა და მახვილით არე-მარეს ჰპუგავდნენ; ძეგლებსა და ხალხის წმინდათა წმინდას არ ინდობდნენ და ანგრევდნენ. და აი, ამბობენ, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც გერმანიის უძღვეელი ჯარი მოაწეა რუსის ლაშქარს და ამათაც იგრძნეს, რომ ეს უკანასკნელი საათი იყო ვარშავეში მათის ყოფნისა, მივიდნენ ვიღაც ავაზაკნი, გასტეხეს წმ. ჯვრის ეკლესიის კარი და პოლონელების წმინდათა-წმინდა, შოპენის მთრთოლვარე გული ამოგლიჯეს და წამოიღესო. ვინ იყვნენ ეს ავაზაკნი, სად წაიღეს და სად არის ეხლა ამ დიდებული მამულიშვილის მთრთოლვარე გული, ამის ჰასუხს ჯერ ვერ მოგვცემს ქაოსად ქცეული, კუპრის აღში გახვეული ზნელი რუსეთი.

ასეთი იყო ცხოვრება და ბედი ამ დიდებული მამულიშვილისა.



ვინ დასწერა „მარსელიეზა“

კმაწილებო, თქვენ ხომ მოგისმენიათ სიმღერა, აი, „მარსელიეზას“ რომ ეძახიან? მოგისმენიათ და ბევრი თქვენგანი კიდევაც მღერის, — აი ეს სიმღერაა „მარსელიეზა“. და-მიგდეთ ყური, — მი გეტყით იგი ვინ დასწერა, როდის და რათ ეძახიან ამ სიმღერას „მარსელიეზას“.

„მარსელიეზა“ დაწერილია 1792 წელში. ამის დამწერი იყო ერთი ახალგაზრდა ოფიცერი, რუჟე დე-ლილი. რუჟე ინგენერი იყო, ამასთანავე ცოტა პოეტიც და მუსიკოსიც, იგი მსახურობდა სტრასბურგის გარნიზონში; ამ დროს პარიზში მშრომელი ხალხი ღელავდა და თხოულობდა უფლებებს, საფრანგეთის ყველა ქალაქებიდან პარიზისკენ მიეშურებოდნენ მებრძოლთა მომხრენი.

წინა დღით, როდესაც სტრასბურგიდანაც ჯარი უნდა წასულიყო პარიზისაკენ ამხანაგების მისაშველებლად, სტრასბურგის ქალაქის თავმა, დიტიჩმა ჯარსა და ოფიცრობას გაუმართა გამოსაფხოვი სალაშქო; ამ ზეიმის დროს ქალაქის თავმა წინააღმდეგობა მიჰპართა იქ მყოფ შვედებულ ოფიცრობას, დაწერა ვისმე მოხალისეებისათვის მომენტის შესა. ფერი სამხედრო სიმღერა. ახალგაზრდა ოფიცერმა რუჟე დე-ლილიმ თამამად აღუთქვა ქალაქის თავს, რომ იგი შეასრულებდა თხოვნას. რუჟე დე-ლილი ამ საღამოდან პირდაპირ ყაზარმენში გაემართა. აქ მან დიდებული სანახაობა ნახა. ლაშქარი დიდს სამზადისში იყო; იგი საბრძოლველად ემზადებოდა და ამისთვის მთელი დღე-ღამე თოფ-იარაღსა სწმინდადნენ და აწყობდნენ სამხედრო მასალას. ახალგაზრდა რუჟემ მთელი ღამე ყაზარმეში თოფ-ზარბაზნებს შორის დაჰყო. იგი უმზერდა ჯარის კაცებს და მოხალისეებს, როგორ გატაცებით და თავდავიწყებით უვლიდნენ და ეალერსებოდნენ თოფ-იარაღს. ამ სურათით აღზნებული რუჟე მეორე დღით აღრე მოვიდა შინ, დააფლო ხელი ვიოლონჩელს და ააყენესა აღმა-

ფრენი ხმებით სიმები; უკრავდა იგი იმ სიმღერას, რომელიც თქვენ ვაგიგონიათ, და ამას თანავე უწერდა სიტყვებსა და მუსიკას. მეორე დღესვე დილა ადრიათ რუქე ამ სიმღერით ქალაქის თავთან; დღიერი იმ დროს ბაღში დასეირნობდა. შევედრე ბაღში, ღიმილით მიესალმა ქალაქის თავს და მოწიწებით მიაწოდა დაპირებული სიმღერა; ქალაქის თავმა რუქე სახლში მიიწვია; გააღვიძა თავის ოჯახი და აქვე როიალზედ მოისმინეს სიმღერა.



თითონ რუქე მღერის თავის სიმღერას.

ქალაქის თავი და მთელი ოჯახობა აღტაცებაში მოვიდნენ ახალი სიმღერით; იგი მოწონებული იყო. მეორე დღესვე დაინიშნა საჯაროთ სიმღერის მოსმენა. ჯარი და აუარებელი ხალხის თანადასწრებით რუქეს სიმღერა ქალაქის მოედანზედ შეასრულეს; მსმენელთ სიმღერა ისე მოეწონათ, რომ მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. სიმღერა ყველას პირზედ ეყრა, აქვე ხალხმა, ჯარმა და მოხალისეებმა სიმღერა რამდენჯერმე გაიმეორეს. ამავე წელს, თიბათევში, ეს სიმღერა შეასრულეს ქ. მარსელში; აქაც მსმენელებზედ სიმღერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ამ ქალაქიდან ამ სიმღერის ყოინით დაიძრა პირველად ხუთასი კაცი მოხალისე პარიზისკენ, სადაც ამ დროს ქუჩებსა და ბარაკებზედ მშრომელი ხალხის სისხლი იღვრებოდა; მარსელელები ამ სიმღერის გნისით მიადგნენ პარიზს და რა კუთხეშიაიკი განდებოდნენ, მათი სიმღერის გუგუნი და თავგანწირვა თავზარსა სცემდა მთავრობის მომხრეებს. იმ, ამ დღიდან დაეკეა ამ სიმღერას „მარსელიეზა“, იმ ხუთასი მარსელელი კაცის სასახლოდ და სახსოვრად, რომელთაც თავი დასდეს თავისუფლებისათვის და ამ სიმღერის უკანასკნელი ხმებით დალიეს სული. „მარსელიეზა“ ყველგან დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ჯარზედ; ასე გაშინჯეთ, ბევრი გენერალი თავის გამარჯვებას ამ სიმღერის ზეგავლენას აწერდა; ამისთვის იგინი დაბეჯითებით მოითხოვდნენ მთავრობისგან მის დაბეჭდვას და ოფიციალურად ნაიკონალოურ ჰიმნად მიღებას. მთავრობამ ხალხის თხოვნა ასრულა.

ებლა მარსელიეზა საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი.



ლუდვიგ ვან-ბეთჰოვენი.

იმ ხელოვნებას, რომელზედაც ჩვენ ამ სახელმძღვანელოში ცოტა რამ ცნობები მივიღეთ, დიდი წარმომადგენლები ჰყავდა. ამ წარმომადგენლების მოღვაწეობამ ეს ხელოვნება, ხელოვნება, ასე რომ ვსთქვათ, მესამე ხარისხოვანი, კაცობრიობის წინსვლის პროცესში პირველ რიგში ჩააყენეს, ამა თუ იმ ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში მის განსაკუთრებული ფურცელი გაღმალეს და შეგნებულ, განვითარებულ საზოგადოებას მისი სიგანი და დანიშნულება აღუნიშნეს. ამ ხელოვნების ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად ითვლება აი ეს მუსიკოსი, რომლის სურათსაც ეხლა თქვენ უმზერთ.

ლუდვიგ ვან-ბეთჰოვენი დაიბადა 17 დეკემბერს 1770 წ. ქ. ბონაში (ავსტრია);^{*)} მამა მისი, იოჰან ვან ბეთჰოვენი, მუსიკოსი და მომღერალი, სხვა შეილებთან ერთად, ლუდვიგსაც ასწავლიდა მუსიკას და დაკრას ფორტეპიანოზე; მამა გულმოდგენით ეკიდებოდა შვილის სწავლას, ამიტომ მის ბავშვი ასე თუ ისე საუკეთესო მუსიკოსებთან მიჰყავდა სამეცადინოთ. ალბათ სწორეთ ამ მოსახრებით თუ, ლუდვიგი სწავლობდა ჯერ პეიფერთან, შემდეგ ვანდერ-ელენთან და ბოლოს ნეეფერთან. ანაირათ პატარა ლუდვიგი 1785 წ. ერთი მასწავლებლიდგან მეორე მასწავლებელთან გადადიოდა. 1785 წ. ლუდვიგმა უკვე დაიწყო სამსახური სასახლის კაპელაში; იგი აქ ორგანისტად ირიცხებოდა. თხუთმეტის წლის ბეთჰოვენი ამან ვერ დააკმაყოფილა; გენიოსობის ტალღა ლუდვიგს სხვა სიე-

^{*)} ბეთჰოვენი კი თავის დაბადების წელიდ სთვლიდა 1772 წ.

რეში უხმობდა, სხვა ადგილს უჩვენებდა საასპარეზოდ 1786 წ. მან შიატოვა ორგანოს-ტობა და გაემართა ვენისკენ. ავსტრიის სატახტო ქალაქი, ვენა იმ დროს ერთ-ერთ უდიდეს სამუსიკო ცენტრად ითვლებოდა მაშინდელ განათლებულ ევროპაში; აქ მოეყარა უდიდეს მუსიკოსებს; აქ იყვნენ იმ დროს მარშლად წოდებულნი ამ ხელოვნებისა: ჯამ-ლერი, ჰუმმელი, ზეიდრიცი, კრეციერი, ვეილი, გიროვეცი, ვიორფელი, გენსბახერი და სხვა; ყველა ამით სათავეში უდგნენ და ამშვენებდნენ თვით მოცარტი და ჰაიდნი. აქ ბეთხოვენმა მიღე მიიქცა ყურადღება მუსიკოსებისა, მოცარტი ხომ მას აღტაცებაში მოჰყავდა თავის ვასაოკარი და არვისგან გავონილი ორგანოზედ იმპროვიზაციით. ჯერ



ამ მოზარდისგან კაცობრიობამ გასოცარი რამ უნდა მოსმინოს!

კიდევ აქ უწინასწარმეტყველა მოცარტმა თავის ამხანაგებს: „ამ მოზარდისგან ქვეყანამ გასაოკარი რამ უნდა მოსმინოსო“ აღბათ მოცარტის გენიოსობა ჰგონობდა სილუეტებში ბეთხოვენის გენიოსობის გამოკართომას, ბეთხოვენმა ვენა ამოირჩია საშულამო საცხოვრებლად. ეს ვადაწყვეტილება მას ბევრს რასმე უქადა; მარტო ის, რომ აქვე სცხოვრობდა სახელ განთქმული ჰაიდნი, — ეს რათმე ღირდა, ბოთხოვენს კი ეს გარემოება სიხარულით გულს უვსებდა, ვინაიდან მის ხელმძღვანელობით მუსიკის შესწავლაზედ იგი ცხადლივ თუ სიზმარში ოცნებობდა. ნატვრაც აუსრულდა. სიამოვნებით კი არა, გატაცებული მუშაობდა და სწავლობდა ბეთხოვენი მუსიკას ჰაიდნის ხელმძღვანელობით. ესე გაგრძელდა მუშაობა, სანამ ჰაიდნმა არ იგონა, რომ იგი ველარაფერს მისცემდა თავის მოწაფეს, და მოწაფემ, რომ იგი ველარას მიიღებდა თავის მასწავლებლისგან; ჰაიდნი იბნოდა მოწაფის ნამუშავეარში, ბეთხოვენი კიდევ უკმაყოფილო იყო მოწაფის ნამუშავეართ მასწავლებლის აღტაცებაზედ; მეტი გზა არ იყო: სახელ-განთქმული მასწავლებელი და გენიოსი მოწაფე უნდა ვაყრილიყვნენ. ესეც მოხდა: ჰაიდნი გაემგზავრა ლონდონში, სადაც მას ქება-დიდებათ მოსილს სიკვდილამდე შეფურც ცხოვრება თან სდევდა, ბეთხოვენი დარჩა ვენაში, სადაც იგი ცხოვრებამ აწამა. დიახ, ამ გენიოსის ცხოვრება ნამდვილი წამება იყო, — არც მეტი, არც ნაკლები. თუ რათ იყო მისი სიკაცსლე ესე შავ-ბნელი, რომელმაც სიხარული დაუხშო ლუღვიგს, ამას ეხლავ დაინახავთ.

ბეთხოვენმა 1795 წ. დაიწყო მოღვაწეობა, თუმცა ამაზედ წინათაც, როგორც ამბობენ, სწერდა იგი სამუსიკო თხზულებებს. ამ წელში დაიბეჭდა მისი შესანიშნავი სამი „ტრიო“, რომელსაც თავის ძვირფასს მასწავლებელს, ჰაიდნს უძღვნდა. მუსიკალური ცხოვრება ავსტრია-გერმანიისა ამ თხზულებამ შესძრა და ფეხზედ დააყენა. საუბედუროთ, ბეთხოვენს კი დიდი განსაცდელი მოელოდა.



დახლოვებით, ასე ოცდაათის წლისა რომ შეიქმნა მუსიკოსი, მას ყურთა სმენა მოაკლდა. ეს საშინელი ავადმყოფობა უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს ბეთჰოვენის განზი და ბოლოს ამ ავადმყოფობამ გენიალური ცხოვრება ამ კაცისა დასრულდებოდა უბედურებათ ვარდამტკი; ლუდვიგი იძულებული იყო ეგძინო ჯთავისი თავი მარტოდ, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ ქვეყნად; დაყრუებამ მოსწყვიტა იგი არამც თუ საზოგადოებას, არამედ დაუხშო ის სიამოვნების წყაროც კი, რაც შეადგენდა ზრის მისი სიცოცხლისას, რაც მისთვის ისევე საჭირო იყო, როგორც კაპერი, პური, წყალი ადამიანის სიცოცხლისათვის; ისე დაყრუედა ეს გენიოსი მუსიკოსი, რომ არამც თუ თავის ნაწარმოებების მოსმენა, მასთან უბრალო ლაპარაკიც კი შეუძლებელი გახდა; სიტყვიერი მოკითხვა და სხვა მასთან მხოლოდ ქალღმრთელ წერით შეიძლებოდა. მუსიკოსი და ისიც ყრუ? მუსიკოსისთვის ამაზედ დიდი უბედურობა განა სხვა რა იქნება! ეს უბედურება კი მით უფრო აუტანელი ხდებოდა, რომ ძმები და ნათესავნი ძალიან ცოტას თანაუგრძობდნენ ლუდვიგს.

ლუდვიგ ბეთჰოვენი სიცოცხლითვე ხმათა სამეფოში გადასახლდა; მოწყვეტილი ამ ქვეყანას, იგი გულის სიღრმიდან აბამდა ძაფებს ხან მკვდრისაგან, ხან მოწყირალე, შორაკრაკე ხმებთან. ეკლთ, რომ სწორეთ ამ ხანაში დასწერა მან თავისი შეანიშნავი თხზულებები, რასაც მუსიკოსები განცვიფრებაში მოჰყავს; ბევრს ხომ არა სწამდა ბეთჰოვენისა არაფერი, რადგანაც არა ჩვეულებრივი მუსიკალური კომინაცია ხმებისა მათ ავადმყოფი და სულელი კაცის ბოღვად მიჩნდათ. ლუდვიგს მივლი თავის არსებით სძავდა ის მუსიკალური დილეტანტიზმი, რომელიც მარტანებლობდა და ჰქონდა საზოგადოების გემოვნებას. მისი თხზულებები დიდს გრეადარეგს იწვევდა; კონცერტებზედ ასრულების დროს, საზოგადოებას მათი არა ეყურებოდა-რა და უგულვლო ეკიდებოდა; ამიტომაც იყო, რომ ამ თხზულებებს გამომცემი არავინ ჰყავდა იმ დროს, როდესაც სხვა გვარი უშნო, ულახათო მუსიკალური ნაწარმოებნი ათასობით იბადებოდა და ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

ბეთჰოვენს ცხოვრების წყარო, გარდა თავის შრომისა, არსაით არა ვაიხნდა რა, ს.მუსიკო თხზულებების კი მას არაფერს აძლევდნენ, ამიტომ იგი დიდს გაჭირებას განიცდიდა; დაუმატეთ ამას ისიც, რომ ლუდვიგი თხოვნასა და ლაქუცობას მიჩვეული არ იყო, დიდებულების წყალობას ხომ იგი საქვეყნოდ ირონით იხსენიებდა. მთავრობასა და თვით გვირგვინოსნებსაც იგი მკაცრად იხსენიებდა იმ მფარველობისთვის, რასაც ისინი უწყევდნენ უნიკო ხელოვანთ; ან სწორედ ამისთანა მფარველობისთვის მან თავის მეგობარს, ჰუმმელს, ბაასის დროს, მოსწერებულათ უთხრა: „დღეღაფაღმა მუსიკას კი არ უნდა უსმინოს, დასწერე წიგნი მონაწივისა და მიაართვი მის უღმრთელობისთვის; ეს საუკეთესო საკითხავი და გასართობი იქნება მისთვისო“. რომ ბეთჰოვენს დიდებულნი ამა სოფლისა მაინცა და მაინც ძალიან არ ეპიტნავენოდნენ, ამას ერთი პატარა შემთხვევაც მოწმობს; ცნობილია, რომ ბეთჰოვენი დიდი მეგობარი იყო გეტესი; გეტე კიდევ ფრიად დაახლოვებული იყო მეფესთან. ერთხელ გეტე და ბეთჰოვენი ხელიხელს გაყრილნი დასეირნობდნენ სასახლის ბაღში; ამ დროს მათ შეამჩნიეს, რომ მოდის მეფე და გზა მათეკ უჭირავს; გამოსავალი არსათი იყო, მეფეს უნდა შეხებოდნენ და სალაში მიეცათ. გეტესთვის, როგორც სასახლესთან დაახლოვებული კაცისთვის, ამისთანა შეხვედრა და სალაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხოლო ბეთჰოვენმა ვერ იგრძნო თავი თავის ქტრქში და იმ დროს, როდესაც გეტე უნდა გამოვიმულიყო და მიეცა სალაში მეფისთვის, ბეთჰოვენმა შეაკცია ზურგი მეფეს, დაიწყო უკან ხელები და განაგრძო თავისი გზა; შემდეგ გეტე მოაგონებდა ხოლმე მეგობარს იმ უბერხულობას, რაც მან მიაყენა მაშინ გეტეს, ხოლო ეს მოგონება ლუდვიგს სიცილად არა ჰყოფნიდა.

ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ბეთხოვენი დიდი შეუპოვარი კაცი იყო, გაკირებულმა ცხოვრებამ იგი ვერ მოდრიკა, მისი თავმოყვარეობა, პატიოსნურის აპპარტავენობით აღსავსე, მედიდურათ იღვა იმით წინაშეც კი, რომელთაც შეეძლოთ გაკირების მარყუშიდან ჩამოეხსნათ. ლუდიგმა საკაცობრიო ნაწარმოებები დაწერა მისი შეცბრე სიმფონია დღესაც ერთ უდიდეს გენიალურ ნაწარმოებთან ითვლება, რომლის მინაგავრიც ჯერ მუსიკის დარგში არც დაწერილი და არც მოუსმენია განათლებულ კაცობრიობას. იშვიათია შეგნებული ოჯახი, სადაც ფორტეპიანო იღვეს და ბეთხოვენის რამე ნაწარმოები არ მოესმინათ. იმ დროს, როდესაც მის თხზულებათა გამოცემა საზოგადოებებმა მილიონები შეიძინეს, როდესაც არა ერთი და ორი ფირმა გამდიდრდა ამ ნაწარმოებთა ვაჭრობით, ეს დიდებული კაცი სიმშოის განიცდიდა და, როგორც მისი ბიოგრაფი ამბობენ, უკანასკნელ ეპს წაშლისთვისაც კი არ მოეპოვებოდი მას რა?დენიმე გროშიო.

26 მარტს 1827 წ. გარდაიცვალა ბეთხოვენი, იგი დასაფლავეს ვენაში; დასაფლავებას დაესწრნენ მთელი ევროპის მუსიკოსნი; ასობით კი არა, ათასობით მისდევდა გულჩაწყვეტილი ხალხი მის კუბოს; ერთად ერთი სამკაული მისი კუბოსი იყო დაფნის გვირგვინი. როდესაც უხმოდ, უმუსიკოდ ჩაასვენეს კუბო სასაფლაოში, მაშინ მისმა შეგობარმა პუნქემლა, მუჟა მიწის მაგიერ, ჩააგდო დაფნის გვირგვინი, როგორათაც ერთად ერთი ნიშანი მადლობისა მიცვალებულის წინაშე. დაფნის გვირგვინს მოჰყვა წვიმასავით უამრავი გვირგვინები უთვალავი საზოგადოებებისგან, რომელთაც, მიწის მაგიერ, ამოავსეს სასაფლაო. დასაფლავების დროს არ იყო ნათქვამი არც სიტყვა, არც საგალობელი, ვინაიდან ებლა ყველა გრძობდა, ვინ დაჰკარგა მუსიკის ხელოვნებამ და მასთან მთელმა განათლე-ბულმა კაცობრიობამ.





ვოლფგანგ ამადეი მოცარტი.

ვოლფგანგ მოცარტი სამართლიანად ითვლება მუსიკის ფენომენად; ღირსეულად მიგვაჩნია მაზედ ორიოდ სიტყვა ითქვას; და რომ მართლაც მოცარტი გასაოცარი რამ პიროვნება იყო, როგორც მუსიკოსი, ამაში ეხლავე დაგრწმუნდებით.

ვოლფგანგ ამადეი მოცარტი დაიბადა 27 იანვარს 1756 წ. ქალაქ ზალცბურგში. პატარაობიდანვე მამა ასწავლიდა მუსიკას თავის შვილს; სწავლის საქმე კარგათ მიდიოდა; ვოლფგანგი გასაოცარის სისწრაფით ითვისებდა ყველაფერს. მამაც, ამის მნახველი, აორკეცებდა თავის ზრუნვასა და მუყაითობას შვედისადმი. ვოლფგანგი შვიდის წლისა რომ შესრულდა, მამამ იგი წაიყვანა სხვა და სხვა ქალაქებში კონცერტების გასამართავად. ვენა, პარიზი, მიუნქენი, პავა, ამსტერდამი, ლონდონი შემოიარეს მამა-შვილმა, აქ ისინი კონცერტებს მართავდნენ, ყველგან პაწია ბიჭს მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა, ძლიერნი ამა სოფლისანი

ბენედიკტო სოვლიდენი თავის თავს ენახათ და ელაპარაკნათ გასაოცარ მუსიკოსთან. მისთვის ყველას კარები ღია იყო, ყველასათვის სანატრელი სტუმარი; გვირგვინოსანი მუსიკოსების სასახლეში ვატივებოდნენ, დედოფლები მუხლებზედ ისევამდნენ, ხელში იყვანდნენ ყალბებით ავსებდნენ.

ბავშვი რვა წლისა არ იყო, როდესაც დაიბეჭდა პირველად მისი ნაწარმოები; ეს კი არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ხელოვნების ისტორიაში. 1768 წ., ესე იგი, თორმეტის წლის ბავშვმა დასწერა პირველი სამ-მოქმედებიანი ოპერა „ლა სემპლიცე“; თუმცა ეს ოპერა თვით მეფის შეკვეთით დასწერა ვოლფგანგმა, მაგრამ ერთი მიზეზის გამო, იგი არ დაიდგა სცენაზედ. არტისტებმა იუკადრისეს ვიღაც თორმეტის წლის ბავშვის ნაწარმოების შესრულება სცენაზედ. მალე ამ ოპერას მოჰყვა მეორე ოპერა „ბასტიენ უნდ ბასტიენ“ რომელიც დაიდგა თვით მოცარტის ლოტბარობით ვენაში; ოპერა საზოგადოებ.ს მოეწონა და სახელი მისი ერთი ორათ გაიზარდა. 1768 წ. ვოლფგანგის ლოტბარობით ვენაში შესრულებულ იქნა მის მიერ დაწერილი მესხა; ეს მესხა დაიდგა ვენაში ობლენისათვის თავშესაფარის კურთხევის დღეს. მესხას მოსამწენად მოვიდა მთელი ქალაქი; აქ იყვნენ თვით მეფე-დედოფალიც. 1770 წელს ვოლფგანგი თოთხმეტის წლისა რომ შესრულდა, მიიწვიეს ლოტბარათ ზალცბურგში. 1769 წ. მოცარტმა იმოგზაურა იტალიაში. აქ, ბოლონიაში მან კარგა ხანი დაჰყო და სწავლობდა მუსიკას სახელ-განთქმული მარტინის ხელმძღვანელობით. მარტინიმ მოცარტს ისეთი მოწმობა მისცა, რომ ბოლონიის სამუსიკო აკადემიამ იგი აირჩია თავის ნამდვილ წევრად.

1770 წ. მილანში დაიდგა მოცარტის ოპერა „მიტრიდატი“, ოპერას ისეთი წარჩივნება ჰქონდა, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა; მილანელებმა მადლობის ნიშნად



14 წ. მოცარტი.

მოცარტს უწოდეს Cavaliere filarmonico. 1771 წ. ვერონის ფილარმონიულმა აკადემიამ მოცარტს მიათვია დიპლომი, რომლითაც იგი აკადემიის ლოტბარათ და საპატიო წევრად ირიცხებოდა; ერთის წლის შემდეგ მოცარტმა მილანის სამუსიკო შეჯიბრებაში გაიმარჯვა; ამ გამარჯვებამ ავისტრიას, გერმანიასა და იტალიაში განუმტკიცა მის სახელი დიდი კომპონისტისა და პიანისტისა. ამ დროს იგი 16 წლისა იყო. 1771 წ. მოცარტმა დასწე-




რა ოპერა ზალცბურგისთვის, კიდევ ორის წლის შემდეგ დასწერა ორი ოპერა: „უკანასკნელი წარმოებები დიდს ინტერესსა და აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში; ამის შემდეგ მუსიკოსები შეშფოთებული ამბობდნენ: „ეს უკანასკნელი მალე ჩვენ თავს დაიფიცებს საზოგადოებასა“. ვოლფგანგი დაულაღავათ მუშაობდა; შემდეგ ში დასწერა კიდევ „ილომენე“, „დონ-ეუანი“ და „ჯადოსანა ფლიტა“.

იტალიაში ყონდის დროს მან თავის მეხსიერებით ერთი სასწაული ჩაიდინა, რომელმაც ალაპარაკა მთელი ევროპა. საქმე იმაშია, რომ რომში, პეტრე-პაულეს ტაძარში, მიღებული იყო ძველებური საგალობლების შესრულება. ეს საგალობლები ერთ კრებულში იყო მოთავსებული, წმინდა ტრაპეზზედ ჯაჭვით იყო მიხმული; და ამნაირათ მუსიკოსების თვალისთვის ეს ხელთნაწერი მიუწოდებელი იყო. ამბობენ, მოცარტმა ერთს წირვას მოუსმინა ამ ეკლესიაში, როდესაც ამ ხელთნაწერიდგან საგალობლებს ასრულებდნენ; წირვიდან დაბრუნდა შინ მოცარტი და ჩაუჯდა მოსმენილი საგალობლების წერას. ერთის მოსმენით მთელი წირვის წესი დასწერა, გაიღო ნოტებზედ და ამ ნაირათ ეს ძველებური საგალობლები გავრცელდა და დაიწყეს მათი ასრულება სხვა ეკლესიებშიც.



უკანასკნელი მისი თხზულება იყო „რეკვიემი“—ქართულათ ანდერძის წესი. ეს თხზულება დასწერა მან ერთი მღვდარი კაცის შეკვეთით; იგი ამ მუშაობის დროს გახდა ავად და იგრძნო კიდევ უკანასკნელი წამები. მან მოიხმო თავისი მეგობარი მომღერლები და მათი შესრულებით მოისმინა ეს ღიღებული თხზულება. ამნაირათ თავის და სახელისწეროთ მღვდარი კაცისთვის კი არა, თავისთვის დაიწერა. მოცარტის შესიერება გასაოცარი იყო; მისი ნაყოფიერება, როგორც კომპონისტისა, ერთიორად გასაოცარი; სწერდა შინაც, გარეთაც, თეატრში, გზაში და სხვაგან, ერთის სიტყვით, სადაც მოადგებოდა რამე სამუსიკო მეთოდია, ამისთვის იგი აღვიდის არ არჩევდა. მიუხედავათ მისი დაუღალავი შრომისა დანაყოფიერებისა, იგი დიდს მატერიალურ გაჭირებას განიცდიდა; ამისთანა ბუნწმა ცხოვრებამ დიდი ნიქის კაცი გასტება, დააუძლურა და მიიყვანა უდროვოთ უღმებელი სიკვდილის კარამდის. ჯერ 36 წლისა არ იყო, მოცარტი გარდაიცვალა 7 დეკ 1791 წ. და დაასაფლავეს ღიღის ამბით ვენაში.





ს ა ბ ე რ ტ შ ი შ ა ნ ი .

მუსიკის ხელოვნებას ბევრი მადლიანი ქურუმი ჰყავდა, რომელთაც კაცობრიობას მრავალი საამო და საამაყო ნაშრომი დაუტოვეს. შარავანდელით არიან მოსილნი ბეთ-პოენი, მოკარტი, ვაგნერი, შოპენი; მაგრამ ამ სახელებით არ თავდება რიგი მუსიკაში მომუშავე გამოჩენილი კომპონისტებისა; იქ, სადაც იხსენიება შოპენი, ლისტე, ვაგნერი, მოკარტი, სამართლიანობა მოითხოვს კოტაოდენი ესთქვათ რამე შუმანზედაც. რობერტ შუმანი დაიბადა 1810 წ. 8 ივნისს ქ. ცვიკაუში (საქსონია). მამა მისი ცნობილი იყო, როგორც წიგნების გამომცემი და მოვაჭრე; როგორც შეძლებული კაცი, იგი სდილობდა შვილისთვის კარგი განათლება მიეცა; თუმცა მამას აზრათაც არა ჰქონდა შვილი მუსიკოსათ გამოეყენა, მაგრამ სხვა ხანებთან ერთად რობერტს მუსიკასაც ასწავლიდა. რადგანაც ბავშვი მუსიკის შესწავლაში არა ჩვეულებრივ ნიქს იჩენდა, ამიტომ მამამ გადასწყიტა შვილისთვის საუკეთესო მასწავლებელი გამოეჩა და მით ბავშვის მუსიკალური განათლება სიმძლო პირის ხელში ყოფილიყო. მასწავლებელიც გამონახეს; რობერტი მიაბარეს ვებერს და ბავშვიც სწავლობდა მუსიკას, როგორ სპეციალისტი. რობერტს ბედმა უმტყუნა. ვებერი მოკვდა და დარჩა თექვსმეტის წლის შუმანი უმასწავლებლოთ. რობერტი რყევაში იყო, არ იცოდა, რა გზა ამოერჩია, მკენიერება, თუ ხელოვნება. თუმცა შუმანის სულსა და გულს ხელოვნება უფრო იზიდავდა, მაგრამ თანახმად დღის სურვილისა და რჩევისა, იგი შევიდა ლეიპციგის უნივერსიტეტში და აქ სწავლობდა იური-




ღილ მუცნიერებას. ბეჯითათ სწავლობდა შუმანი უნივერსიტეტში და ამასთანავე დაიწყო ლინობდა მუსიკაშიაც. დღეა ატყობდა, რომ ყმაწვილი კაცი მუსიკისთვის იწოდებოდა და დართო ნება შეიღს,—დასდგომოდა მუსიკის გზას. რობერტსაც ეს უნდოდა. შუმანი შეუდგა უფრო ღიღის ენერგიით მუსიკის შესწავლას. ამ დროს მთელი ევროპა მოუხანობდა მოზღვლესზედ, ლისტზე, შოპენზედ; შუმანი ოცნებობდა ლისტის სახელი მოეხებევა; სწავლობდა, სწავლობდა დღე და ღამ როიალზედ; ოცის წლის იყო, პედიდებერგში შუმანმა პირველით მიიღო მონაწილეობა კონცერტში; შუმანის დაკვრა როიალზედ კველს მოეწონა; შუმანი ამას არ სჯერდებოდა, ის ფიქრობდა თითებისა და მაჯების სისწრაფეზედ, ტენიკისათვის, ამიტომ იგი იგონებდა სხვა და სხვა სიავარჯიშოს ხელნებისათვის. სამუხაროდ, ვ.დამეტებულმა მეცადინეობამ სარგებლობის მაგიერ მწუხარება მოუტანა. საქმე იმაშია, რომ ნამეტანი მუშაობით მაჯა და თითები კი არ განუვითარდა, მთლიად მოუღუნდა; თითებისა და მაჯების სიდაბლედ დღითი დღე სავარწმინელი ხდებოდა, ასე რომ შუმანი პიანისტობის კარიერას უნდა გამოსთხოვებოდა; ზოგი კირი მარგებელია, შუმანიც შეუდგა მუსიკის თეორიულად შესწავლას, რამაც უშედეგოთ არ ჩიარა; მან დასწერა მრავალი სამუსიკო თხზულება, რომელნიც დღესაც ამშვენებენ სიმფონიური კონცერტების პროგრამებს და დიდის ინტერესით უსმენს საზოგადოება.

შუმანის სიმფონიური ნაწარმოები აღბეჭდილია ნამდვილი ნიჭით; იგი გულწაბობილი, კეთილშობილი პოეტია, ეს პატიოსნური ხმათა კომბინაცია მსმენელის ყურს ადვირშებს ხან სალოცველად, ხან დასაწყველად. შუმანი სწერდა მომეტებულად სიმღერების ფორმით. მან ეს ფორმა, შეუბერტის შემდეგ, გააშვენიერა და უმაღლეს წერტილამდის აიყვანა. მთელი განათლებული ევროპა დღესაც მღერის და კიდევ დიდ ხანს იმღერებს ამისთანა სიმღერებს, როგორცაღ მისი „ახ, კაეზნის ხმანა“, „გრენადერები“, „ლოტოსი“, „არა, მე არ ვსჯავრობ“, „სიზმრად ვაფრქვევი ცრემლებს“, „მომეცე ხელი“ და სხვა. იშვიათია სეზონი, რომ თბილისის საზოგადოებამ შუმანის „ოცნებანი“ სიმფონიურ კონცერტზედ არ მოისმინოს. შუმანი შესანიშნავად ეტერბება მუსიკით მოთხრობა ლექსის შინაარსსა; ამ შხრივ მას მეტოქე არ ჰყავდა.

შუმანი მარტო კომპონისტობით არ არის დიდებული მუსიკოსი; იგი იყო დიდებული კრიტიკოსიც; მთელი ევროპა მის ნაწერებს დიდის ყურადღებით იხიარებდა. მისი ნიჭიერი, ცოდნით სასვე და დასაბუთებული წერილები დიდს შთაბეჭდილებას ახდენდნენ. 1834 წ. დაარდა სამუსიკო ჟურნალი, და მთელი წლის განმავლობაში იგი იყო ამ ჟურნალის უმთავრესი რედაქტორიც, თანამშრომელიც. იმდენათ შესანიშნავი კრიტიკული ნაწერები აქვს შუმანს, რომ იგა ცალკე წიგნებათ არის გამოცემული რამდენსამე ტომათ.

შუმანმა შექქნა მთელი სკოლა თავის მიმდევრებისა კრიტიკულ წერაშიც და კომპონისტის დარგშიც. იქამდის დიდ გაულენა ჰქონდა მას თავის მიმდევრებზედ, რომ იგონი ფიქრობდნენ და სწერდნენ ისე, როგორც შუმანი. 1850 წ. შუმანმა საშინელი ავადმყოფობა იგრძნო; იქ, საცაღა ტენის სიღრმეში, უკრავდა ერთი ხმა და ეს წკრაილი მოეხმოდა დღეც, ღამეც; შეუბრალდელი იყო ეს ხმა, მოსვენებას არ აძლევდა შუმანს. მუშაობაზედ ლაპარაკი მომეტებულ იყო, მან დაჰკარა ძლიერი, მთელი კვირაობით მისმა თვალებმა ილოლი არ იცოდა, იყო მომენტები, როდესაც ამ საშინელ ხმას შუმანი ქუჩის შემლამდის მიუყვანია; წამოვარდებოდა იგი ღამე გაშმაგებული და მაშინ ავადმყოფი ვიქსლა ჰგვანდა. ავადმყოფობამ შუმანი თავის მოკვლამდისაც კინაღამ მიიყვანა. მოთმინება დაკარგული, 7 თებერვალს 1854 წ., შუმანი საბოლოან გამოვიდა, ევროან გაერთობოდა ქუჩაში. რეინდენ რომ გადიოდა, შუა ხიდიღან მიეშევა და ვიდვარდა წყალში, მაგრამ აქვე მყოფმა მენაეე-მთევრებმა კომპონისტი გადაარჩინეს. რა გამოვიდა? მას სიცოცხლის მაგიერ, ტანჯვად დაუბრუნეს. ეხლა იგი ერთ ხმას კი არა, განუწყვეტოვ უსმენდა ქარიშხალს მთელი ხმებისს. ამ საშინელ ტანჯვაში კიდევ იცოცხლია მან ორი წელი; გარდაიცვალა იგი 29 იელისს 1856 წ. და დაკრძალეს ქ. ბონანში.



დimitრი ივ-ძე არაყიშვილი.

ყველა ჩვენგანი მოწამეა ქართული მუსიკის აღორძინებისა. რასაკვირველია, ეს თვალსაჩინო ნაბიჯი ამ დარგში უნდა მიეწეროს იმ მოღვაწეთ, რომელნიც მამულის სიყვარულით იღვსილნი, დაულალავათ მუშაობენ ამ ასპარეზზედ. ერთ ამისთანა მუშაკად უნდა ჩაითვალოს ჩენი თანამემამულე დ. არაყიშვილი. იგი დაიბადა ქ. ვლადიკავკაშში, სწავლობდა რეალურ სსსწავლებელში. მუსიკალური განათლება მიიღო მოსკოვში, სადაც გაათავა უმაღლესი სამუსიკო სსსწავლებელი მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოებისა; არაყიშვილი ამით არა კმაყოფილდება; იგი შედის მოსკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტში და ბეჯითად სწავლობს მეცნიერებას; ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აღკურვლი ზელოვნებისა და მეცნიერების ცოდნით, არაყიშვილი შეუდგა გულ-მხურვალედ ქართული მუ-



სიკის შესწავლას. ამ დარგში მისი გამოკვლევანი თვალსაჩინო ადგილს დაიკვირენ. იგი დიღს მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ეთნოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში და ორჯელაც იყო საზოგადოების მიერ წარმოგზავნილი საქართველოში გამოკვლევითი ზალხური მუსიკის შესასწავლად. არაყიშვილმა აქ შექპირბა დიდი მისალი, როგორც სიმღერებით, ისე სამუსიკო საკრავებზედ; ეს გამოკვლევანი ჯერ იბექდებოდა ხსენებული საზოგადოების გამოცემებში, შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნებათ. არაყიშვილის თვალსაჩინო მუშაობა უფრო კომპონისტობაშია; მას აქვს დაწერილი მრავალი ქართული რომანი და, როგორც ქართველი კაცი, ამ რომანსებს სარჩულად უღებდა ქართულ ჰანგებს. ქართველი საზოგადოება ბევრჯელ დამტბარა აგრეთვე ორკესტრის მუსიკალური ესკიზებით; ამ მუსიკის ნაწარმოებში ნათლად სჩანს კეთილშობილური შემოქმედება განათლებული და დიდათ დახლოვებული მუსიკოსისა. ქართული საოპერო ლიტერატურის რიერაზედ მისი „თქმულება შოთა რუსთაველზედ“ უნდა ჩითვალოს საუკეთესო ოპერად, რომელიც საფუძელიანად არის აშენებული ქართულ ნიდაგზედ. ეს ოპერა სხელმწიფო თეატრის სცენაზედ მრავალჯერ დიდგა და მსმენელზედ სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია. არაყიშვილს ბევრი უმუშავნია აგრეთვე პრესაში ამ რამდენიმე წლის წინად მოსკოვში გამოდიოდა ჟურნალი „მუსიკალური ცხოვრება“. სანამ სამშობლოში დაბრუნდებოდა, იგი ამ ჟურნალის რედაქტორიც იყო და თანამშრომელიც; ამ ჟურნალში იგი ათავსებდა საყურადღებო წერილებს ქართულ მუსიკაზედ. ერთბო ეს ნიკიერი და კეთილშობილი მუსიკოსი წერილებით, კონცერტებით და ლექციებით დიდს პროპაგანდას ეწეოდა ქართულ მუსიკაზედ.

არაყიშვილი ამ ეამად გამგვა ქართული სამუსიკო სკოლისა და თავმჯდომარე სამუსიკო კოლეგისა; იგი ჯერ ყვაწვილი კაცია, ქართული მუსიკის საკეთილდღეოდ დაუღალავად განაგრძობს მუშაობას. მისგან ჯერ კიდევ ბევრს მოელის საზოგადოება და აი, აქ მოთავსებული მშვენიერი სიმღერაც მან უძღვნა ქართველ მოზარდ თაობას.





ნენა - მუსიკა
ერაყიშვილიძე

Adagio

ნა - ნა, შვი - ლო,

riten.

ნა - ნა - ნა! ნე - ტა ნამ შვი - ნა - ში -

a tempo

ნა? ნა-ნა-ნა შვი-ლი - თი შვი - ლა - ნი

a tempo

p

Handwritten musical score for the song "Nena" by Irakli Erashvili. The score is in G major and 2/4 time. It consists of three systems of music. The first system includes a vocal line and piano accompaniment. The second system features a vocal line with lyrics and piano accompaniment, marked with a *riten.* (ritardando) instruction. The third system continues the vocal and piano parts, marked with *a tempo* and *p* (piano) dynamics.



ქართული
ლიბრეტო

rit.


რის-თვის ში - ში - ყან თვალ - ნი?

rit.

The musical score consists of three systems. The first system is a vocal line in treble clef with a key signature of one sharp (F#) and a common time signature. It contains the lyrics 'რის-თვის ში - ში - ყან თვალ - ნი?'. Above the first measure is the tempo marking 'rit.'. The second system is a piano accompaniment in grand staff (treble and bass clefs). It features chords and arpeggiated figures. Above the second measure of the piano part is another 'rit.' marking. The third system continues the piano accompaniment with sustained chords.

ჯერედ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინა-მორბედი,
არ უხატავს შიგ შენ თვალს
ქართველთაღმი ღვთიურს ვალს!





რიხარდ ვაგნერი.

სწორედ რომ საინტერესოა კაცი გაეცნოს ვაგნერის ცხოვრებას. კითხულობ იმის თავგადასავალს და განცვიფრებაში მოდისარ, ნუ-თუა დამიანი ამ ზომამდის ყოფილა ენერგიით ბუნებისგან დაჯილდოვებული! შეიძლება ესეც იყოს, შეიძლება, აი, ყველა ჩვენგანიც იყოს ამოდენა ნებაყოფლობის მატარებელი, მაგრამ ისიც კი მართალი უნდა იყოს, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ როგორ მოუვლის, ვინ როგორ გამოიჩენს და რაში გამოიყენებს ამ ენერგიას. გარდა იმისა, რომ ვაგნერი ერთი უდიდესი მუსიკოსია მთელ დედამიწის ზურგზედ, მისი ცხოვრება ბევრი რ. სამე მაჩვენებელი და მასწავლებელიც არის ჩვენთვის. განა საჭიროა მომეტებული ვილაპარაკოთ ვაგნერზედ, როგორც მუსიკოსზედ? ხოლო როგორც ეს შესანიშნავი მუსიკოსი ეომა საზოგადოების უგულობას, ამაზედ კი უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა.

მართალია, ვაგნერს ყმაწვილობაში მუსიკა უყვარდა და ვებერს აღმერთებდა, მაგრამ იგი შექსპირს უფრო კარგათ იცნობდა, რადგანაც მისი ყოველდღიური საკითხავი წიგნები იყო შექსპირის დრამები. ან ვის ეგონა და ვინ მოიფიქრებდა, რომ ვაგნერი ბოლოს



და ბოლოს მუსიკით ალაპარაკებდა მთელს განათლებულ კაცობრიობას, როდესაც მას მუსიკა მიანცა და მიანც ძალიან ირ ინტერესებდა და, ასე გაზინჯეთ თქვენს მუსიკის მთელი მეტნიერებიდან ერთი ინტერვალის სახელიც კი არ იცოდა. მუსიკის მთელი მეტნიერებიდან ერთი ინტერვალის სახელიც კი არ იცოდა. ესე იყო, მაგრამ შემდეგში იგი გადაქცა მპყრობელად მთელი მიმართულებისა ამ დროში, მის მიუგებდნენ ყურის და ლამობდნენ, ცოტად მიანც მიახლოვებულიყვნენ და ყოფილიყვნენ გამომატველის მისი იდეალებისა. მუსიკის ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელსამე მუსიკოსის ისეთი ბედი ხელმოვლეს, როგორც ვაგნერს.

ვაგნერი აღრე დაბოლდა, მეორე მამაც მალე მოუკვდა, ვილა იფიკრებდა ყმაწვილის აღზრდისთვის? ამისთანა უპატრონობაში იგრძნო ვაგნერმა, რომ თავისი თავის შეგელა მართო თითონ შეეძლო. ვაგნერს ორი გზა ევო წინ, მწერლობა და მუსიკა მართალია, იყო დრო, როდესაც იგი მწერლობა კიდევ, მუსიკოსობა კიდევ, მაგრამ არც ერთი აძლევდა ლუქმა პურს, არც მეორე; ხოლო საკვირველი ეს არის, რომ ამ ორში, რომელიც უფრო მკაცრი იყო ვაგნერისთვის, რომელშია უფრო მეტად ეცარებოდა ხელი, იმას უტყუებდა იგი სამკვდრო სასიცოცხლო ომს და იმას უფრო გულმოდგინეთ სწავლობდა. მშვენიერ წერილებსა სწერდა ეურნალ-გახეთებში ხელოვნებაზედ, მუსიკაზედ, ებრებებოდა კიდევ წერა, ბერისაც მოსწონდა მისი წერილები, მაშასადამე შეეძლო ეურნალისტობის გზა ამოერჩია; მაგრამ ამ ხანაში მოხდა გაუგებარი გარდატეხა ვაგნერში; აი მიზეზი ამ გარდატეხისა: ოცის წლისა იყო ვაგნერი; მან დასწერა სიმფონია; დიდის ამბით შეასრულეს იგი ერთ-ერთ კონცერტზედ ლეიპციგში, მაგრამ ვაგნერს ბედმა არ გაუღიმა, სიმფონია არავის არ მოეწონა. საზოგადოების უგულობა ვაგნერს გულში ჩასწვდა, იგი სწერს თავის პატარა დღიურში: „მე მოვიყვან საზოგადოებას ჩემთან“. შემდეგში რამდენიც ძალიან უნდოდა ვაგნერს მიეყვანა თავისთან ეს საზოგადოება, იძენდი იგი მეტად გაურბოდა. 23 წლის ვაგნერმა დასწერა ოპერა „ფიფები“, ერთის წლის შემდეგ დადგეს ეს ოპერა მაგდებურგში, მაგრამ აქაც უარესი უგულობა ნახა საზოგადოებისა. ვაგნერმა მიატოვა მშობელი მხარე და დაიწყო უგზო უკვლოთ სიარული ერთი ქალაქიდან მეორეში; ამ ხეტიალის დროს რუსეთშიაც კი იყო. აქ, რიგაში მან დასწერა ოპერა „რიცნიცი“; დაიდგა ეს ოპერაც, მაგრამ ისე რადა, ვაგნერისა აღარავისა სწამდა არაფერი. რიგიდან გაიქცა პარიზს, ამ მოგზაურობის დროს ზღვაში კინაღამ დიღუპა. პარიზში ვაგნერმა დასწერა ლიბრეტო „მოხეტიალე მეზღვაური“, სადაც გამოყვანილია თავისი თავგადასავალი რიგიდან პარიზს მოგზაურობის დროს. ეს ლიბრეტო იმისთანა მშვენიერი მხატვრული ნაწარმოებები გამოდგა, რომ მკითხველები აღტაცებაში მოჰყავდა. თუ არა ესტდები, ეს ლიბრეტო ვაგნერმა გაყიდა; უჭირდა, მეტი რა ილაჯი ჰქონდა. პარიზშიაც ვერ მოინადირა საზოგადოების ყურადღება; „ტანჰეიზერი“ აქ არავის მოეწონა. ამობუნენ, „ტანჰეიზერს“ აქ ისე შეხედეს, როგორც გერმანელის ნაწარმოებსაო. ვაგნერმა პარიზიც მიატოვა და გამოემგზავრა სამშობლოში. აქ, ჰამბურგსა და ბერლინში დადგეს მისი „ტანჰეიზერი“, შემდეგ „ლოცვარინი“; საზოგადოებას ოპერები მოეწონა, თუმცა ვაგნერის მოწინააღმდეგე ბევრი იყო კიდევ. ვაგნერი მიანც დიდს დაჰკირებას განიცდიდა. ამ სიმშლიის დროს დასწერა „მეისტერზინგერი“. აქ ვაგნერს უშველა ერთმა გარემოებამ: იგი დაუმეგობრდა ფრანკ ლისტს; ლისტი თუმცა არ იცნობდა ვაგნერს, მაგრამ მისი თაყვანის მცემელი კი იყო შორიდან: ლისტი, როგორც მუსიკოსი, დიდათ აფასებდა ვაგნერს, მოსწონდა ის ახალი ელემენტო, რაც ვაგნერს შეჰქონდა თავის ოპერებში. ლისტი მაშინ უკვე სახელგანთქმული მუსიკოსი იყო და მის სიტყვას დიდს პატივით ეპყრობოდნენ საზოგადოებასა და მწერლობაში. ლისტმა დაიწყო პროპაგანდა ვაგნერის სასარგებლოთ; ასე გაზინჯეთ, მან ვაგნერზედ წიგნიც კი დაბეჭდა. ამის შემდეგ ვაგნერი ნელ-ნელა წელში გამარდა და საზოგადოების თვალ-

შიაკ გვიხარდა. ვაგნერის შემოქმედებაშიც ერთი ორათ გაშალა ფრთა, იგი სწერს „ნიმფ-
ლურგებს“, „ხოფრიდს“, „ველიკრის“; ეს ოპერები იდგმება დრეზდენსა და მიუნხენში.
აქ საზოგადოება აღტაცებაშია, პრესა ერთხმად აქებს ოპერებს. ამ წარჩინების შესწავლა
შამბურგმა, ლეიპციგმა და ბერლინშიც მოინდომეს ამ ოპერების მოსმენა. ამის შემდეგ
ვაგნერზედ დაიბარა იქ შესწყდა. იმ დროს გერმანიაში ყოფილ მოძრაობა იყო მეფის წინა-
აღმდეგ: საზოგადოთ გერმანელებს ამ უწყვართ თავის მოღვაწეზედ ცუდის რისმე ლაპა-
რაკი, მეტადრე თუ იგი ტახტის წინააღმდეგ მოქმედობს. იქ უმჯობესად სთვლიდნენ სულ
არაფერი ეთქვათ ამა თუ იმ მოღვაწეზედ, სანამ ემცნოთ ქვეყნისთვის მისი მეფის საწინა-
აღმდეგო მუშაობაზედ რამე. თუმცა ვაგნერის ბიოგრაფები ამაზედ არას ამბობენ, მაგრამ
ბევრმა კი იცოდა, რომ ვაგნერი რაღაშიაც იყო ჩართული და წინადადება მიეცა მას
მიეტოვებინა გერმანია, არცინ იცის გამოაძევეს ვაგნერი სამშობლოდან თუ არა, ხოლო
ეს კი ვიცით, რომ რამდენიმე წელიწადი მასე აღარაფერი ისმოდა. უტბოთ გაჩნდა ვაგ-
ნერი, ოპერებით კი არა, თხზულებებით ხელოვნებაზედ; მან დაბეჭდა ზედი-ზედ „ხე-
ლოვნება და რევოლიუცია“, ამას მოჰყვა „მხატვრული შემოქმედებანი მომავალში“ და
ბოლოს „ოპერა და დრამა“. ეს თხზულებები დიდის დაკვირვებით არის დაწერილი;
შეურყვეველი ფილოსოფიური აზრებია აქ გატარებული. დაუმტეთ ამას ვაგნერის მშვე-
ნიერი მხატვრული წერაც. ყველა ამან მკითხველებზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა
და ესეა ვაგნერზედ დაპარაკობდნენ არა როგორც მუსიკოსზედ მარტო, არამედ როგორც
ფილოსოფოსზედ და პირველ-ხარისხოვან მწერალზედაც. მართლდაც, მას ძალიან ჰშვე-
ლოდა ის ვარემოება, რომ თათონვე სწერდა ლიბრეტოს თავის ოპერებისთვის, მაშა-
სადავმე, ოპერის კონცეპციას, მოქმედების ხანას და მსგეულობას იგი აძლევდა იმ ფორ-
მას, რაც მას უნდოდა. სცენისა, ორკესტრისა და სიმღერის ტექნიკას იგი ანგარიშს არ
უწყევდა. სასცენო ტექნიკის დასახლებად ვაგნერმა გვირგვინოსანი ილიუდვიგ II-ს მფარვე-
ლობა იშოვნა, რომელმაც იგი ამოიყვანა გაქირბილად და უსოლოთ ხარჯავდა ფულს კომპო-
ნისტის ოპერების დასადგმელად. ლიუდვიგ II უხვად და სიამოვნებით ეწეოდა ამ
ხარჯს, ვაგნერიც აწყობდა სცენას თავის ოპერებისთვის ისე, როგორც თითონ უნდოდა.
ორკესტრისა და უფრო კი მომღერლების შოვნა ვაგნერის ოპერებისთვის მეტად ძნელი საქმე
იყო; ერთ დროს მთელი გერმანიის მომღერლების შეთქმულობა იყო, — არ ემღერათ ვაგნერის
ოპერებში. მიზეზი მუსიკოსებისათვის ცნობილია: ვაგნერის ოპერები დაწერილია საშინელი,
ერთობა არა კაცის ხმის ტესიტურაში, ამიტომ მათი ასრულება მომღერალს ჰლლის და ხმასაც
უფარავს; ცნობილია, რომ სპეციალურად ვაგნერის ოპერები რომ იმღეროს მომღერალმა,
ოთხ-ხუთს წელიწადში თავის ხმას უნდა გამოეთხოვოს, — ისეთი შეუძრალბელი სიმძლიოთ
არის დაწერილი ამ კომპონისტის ოპერები და რომელი მომღერალი დათანხმდება, ვაგნერ-
ის ოპერებისთვის ხმა დაჰკარგოს, ისიც ოა-ბ-ხუთ წელიწადში? ლიუდვიგმა აქაც უშვე-
ლა ვაგნერსა. გვირგვინოსანმა ვასცა ბრძანება, რომლითაც ყველა ანტრეპრენიორის ევა-
ლებოდათ წარეტვაენათ თავისი დასის საუკეთესო მომღერალი და მუსიკოსი ბაიერეიტში
ვაგნერის ოპერებში მონაწილეობის მისაღებად. ვაგნერმა დასწერა კიდევ „ტრისტანი“ და
ბოლოს „პარსიფალი“. ყველა ამ ოპერებმა განხორცილება ნახეს ბაიერეიტში. აქ, პა-
ტარა ქალაქში, მან მეფის დახმარებით აავო განსაკუთრებული თეატრი, — მხოლოდ თავის
ოპერებისთვის, — დღესაც იმართება ხოლმე ბაიერეიტში ზემიევი ვაგნერის ოპერებისა, სა-
დაც შორეულ ამერიკაიდანაც კი მოდის საზოგადოება არა ჩვეულებრივი ოპერების მოსას-
მენად. იკითხავთ, — რაშია მომავალდობელი ძალა ვაგნერის ოპერებისა? ჯერ ერთი იმაში,
რომ მუსიკა ის არის, რაც ჩვენ მოგვისმენია; ვაგნერს უყვარს აილოს პატარა მელიოდა,
თუნდაც ოთხ-ექვს-ტაქტიანი; ამ პატარა მელიოდის იგი ამაუშევებს ხან და ხან მთელი
აქტის სივრცეზედ ისე ოსტატურათ, ისეთის დიდის ხელოვნებით, რომ არ გრძნობთ ერ-




თისა და იმიტივე მოწყენას; იმის ღრმა სამუსიკო კომბინაცია, საუცხოოდ ორგანიზებული აწყობა ერთობ გასაოცარია; დაუმატეთ ამას გადიდებული ორკისტრიც; იქ, სილამაქე კომპონისტებს, მაგალითად, ბეთჰოვენს, ჰაიდნს, ბერლიოზს ორი ტრომბონი აქვთ შეტანილი ორკესტრში, ან ორი ჰობოი, ორი ფლეიტა, ორი აპისტონი და სხვა, ვაგნერს აქვს დაწერილი სამისთვის, ოთხისთვის და ზოგან ხუთისთვისაც; ეს გარემოება კი შედლების აძლევს ვაგნერს სადაც უნდა ერთი ხასიათის ინსტრუმენტებს ათქმევინოს მთელი სამუსიკო წინიდადებები. შესვენების ნიშნები ძალიან მაღ-მაღ აქვს ნახმარი; სხვა კომპონისტს ამ ნიშნების ხმარებას ნაკლები უთვლიან. ვაგნერს განზრახ აქვს სასულევები ნახმარი, ხოლო ყველა სასულეს თავისი მნიშვნელობა აქვს. ჩამოთვლა ყველა დადებითი მხარეებისა ვაგნერის ოპერებში შორს წაგვიყვანს, ამაზედ მთელი წიგნი დაიწერებოდა. ყველა ამას აგვირგვინებს ისიც, რომ ვაგნერი ოპერების შინაარსისთვის იღებდა ხალხურ თქმულებებს, რომელშიაც აღიბეჭდებოდა ესა თუ ის რწმენა გერმანელთა ერისა. ასეთი იყო ვაგნერი, მით ამაყობს გერმანია.

ვაგნერმა თავის მიზანს მიახწია. არვისგან ღირსეულად ცნობილმა მუსიკოსმა შეკყარა ყველანი ერთად: მხატვარი, მწერალი, მოქანდაკე, მუსიკოსი, ბრძენი, ნასწავლი, ძლიერნი ამა სოფლისა, გვირგვინოსანნი და აქ, ბაიერეთში, თავყვანი აქემინა იმ განზრახვითა განხორციელებისთვის, რასაც ისინი ერთ დროს სდევნიდნენ და უარს ჰკადნდნენ.

მთელმა ევროპამ იღვტასწავლა მისი 50 წლის იუბილე. ამ იუბილეზედ შესრულებულ იქმნა მისივე ლოტბარობით ის სიმფონია, რომელმაც ერთ დროს, კარიერის დაწყებისას, გააწითლა და შეარცხვინა ვაგნერი. ექლა ეს სიმფონია ყველას მოსწონდა.

გარდაიცვალა ვაგნერი 1883 წ. ვენეციაში, დასაფლავეს იქ, ბაიერეთში, სილაც მისმა გულის თქმათა წყებამ ხორცი შეისხა.






ზაკარია ფალიაშვილი.

ქართველ მუსიკოსთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა ზაკარია ფალიაშვილმა. მისი მუშაობა ქართულ მუსიკის ასპარეზზე დიდი ხანია დაიწყო; ამ სტრიქონების დამწერს ახსოვს, როდესაც პატარა შაქრო თავის უფროსი ძმის აკომპანიმენტით ფისპარმონიაზედ ტკბილათ მღეროდა ქართულ სიმღერებს. პატარა შაქრო იმ თავითვე იყო აღბეჭრილი ღვთიური ნიჭით. ამ ნიქს კეთილი ნიადაგი უწყობდა ხელს განსავითარებლად. შამა ფალიაშვილისა, პეტრე, ფრიად პატიოსანი და სათნოანი კაცი, მიიმეტ იყო დატვირთული დიდი ოჯახით; პეტრე, მუდამ ტკბილი, მომღიმარე სახით, გულს არ იტეხავდა და შვილებს ყველას ასწავლიდა; სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ყველა, ხუთივე ძმა და დე-ბი რიგ-რიგობით მეცადინობდნენ პიანინოზედ; ამნაირათ იმათ სახლში ორიდან ათ სა-ათამდის სიმღერა-მუსიკის ხმა გაისმოდა; შაქრო მუსიკის ნიჭით შამის უყურადღებას იტყე-ვდა. შაქრო მიიბარეს სამუსიკო სასწავლებელში; აქ მან ბრწყინვალედ დაამთავრა სწავლა; ამის შემდეგ ზაკარია გაემართა რუსეთისკენ მუსიკის შესასწავლად; იგი მოსკოვის კონ-სერვატორიაში გულმოდგინეთ შეუდგა მუსიკის შესწავლას და ეს უმაღლესი სამუსიკო

სასწავლებელიც ბრწყინვალედ დაამთავრა. მოსკოვიდან ზაქარია დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა ქართული მუსიკის შესწავლას. მან რამდენჯერმე შემოიარა ჩვენი ქვეყანაში რიადრობამდის და შექრიფა აუარებელი მასალა ხალხური სიმღერების შესწავლისათვის. ფალიაშვილმა მხატვრულად დიმიტრევი და რამდენსამე რვეულით დასტამბა. ამის შემდეგ ზაქარია მიიწვიეს სამუსიკო სასწავლებელში თეორიის მასწავლებლათ, აქ მას ინსპექტორობის თანამდებობაც ჩააბარეს. თბილისში ყოფნის დროს ფალიაშვილი დაუღალავად მუშაობს; იგი მონაწილეობას იღებს თავის თხზულებებით სხვადასხვა კონცერტებში. ფალიაშვილი დიდის ცოდნითა და დაბეღლოვნებით ლოტბარობდა აგრეთვე სიმფონიურ კონცერტებს. სწერდა ქართულ რომანსებს, რომლებსაც დღესაც მღერიან კონცერტებსა და ოჯახებში. ზაქარიამ საეკლესიო მუსიკაშიაც შეიტანა დიდი საგანძური; მისი ცოდნისა და უნარის ნაყოფია ის ოთხ ხმიანი წირვისა და ცისკარ-მწუხრის საგლოზველნი, რომლებიც მან დიმიტრევი და რომელთაც დღესაც ისმენენ მორწმუნენი ეკლესიებში. ფალიაშვილი ქართულ ეთნოგრაფიული საზოგადოების დავალებით ერთხელ კიდევ იგზავნება სვანეთ-აფხაზეთში ხალხური სიმღერების ჩასაწერად; როგორც ნასწავლი მუსიკოსი, თავის აზრს ქართულ სიმღერებზედ იგი ჰმკვიდრავდა გაზეთებში. მუსიკოსის საყვარელ პირშია ფალიაშვილი ჩაითვალოს ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ამ ოპერას დიდი ადგილი უჭირავს სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში; იგი დამამშვენებელია ამ თეატრის სცენისა. „აბესალომ და ეთერი“ განუწყვეტლივ იდგმება და ხალხი დაუღალავად დაიარება მის წარმოდგენაზედ, ეტყობა, ამ ოპერამ უნდა აღზარდოს მთელი თაობა; ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ ოპერიდან ზოგიერთი ადგილებს უკვე მღერიან ოჯახებში და კონცერტებზედ. ფალიაშვილი ჯერჯანით სავსე კაცია და იმისაგან, ვინც „აბესალომში“ დასწერა, ქართველი საზოგადოება სამართლიანად მოეღის კიდევ რამე მოისმინოს, უფრო საამაყო და ძვირფასი ყველა ქართველი კაცისთვის. სხვათაშორის მას აქვს დაწერილი მრავალი საბავშვო სიმღერა და აი აქ მოყვანილი სიმღერაც იმის მარჯვენამ მიუძღვნა იმ მომავალ თაობას, რომელთაც განუყრელად არის ჩვენი საუკეთესო ფიქრიც და განზრახვანიც, რომელმაც უნდა შექმნას და გამოჰქვედოს ბრწყინვალე მომავალი ჩვენი ძვირფასი მამულისა და ხალხისა.





შობის ხის სიმღერა

შუს. ზაქ ფალიაშვილისა.

Andantino con grazioso

I რ II ხმა

dolce
mf *rit*

მორველი ხმა

rit

შობის ხის ხარ-შე-შობ, გარ-შე-შობ, დავ-დი-ვახთ და
 შობის ხე ნათ-ლად ჰხუცი-ნავს, ნათ-ლად ჰხუცი-ნავს, ა-თას ფე-რე-




Handwritten musical score, first system. It consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line has lyrics in Georgian: "და - ვმლე - რით, და - ვმლე - რით." The piano part includes the instruction "cresc." and features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes.

Handwritten musical score, second system. It consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line has lyrics: "შო - შის ხე ჩვენ ვა - რებს, ვა - ხა - რებს. შევს ხა - რედ-რებს." The piano part includes the instruction "mf" and features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes.

Handwritten musical score, third system. It consists of a vocal line and a piano accompaniment. The vocal line has lyrics: "ვა - ვა - რებს, ვა - ვა - რებს." The piano part includes the instructions "cresc." and "rit." and features a rhythmic accompaniment with eighth and sixteenth notes.





ფრანც ლისტია.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, 1811 წელს 10 ოქტ., ქ. ვეიმარში (ტიურინგენი) დაიბადა ეს სახელოვანი ადამიანი, რომლის სიტყვასაც მთელი საუკუნე განათლებული ევროპა მიუკლებდა ყურს მუსიკის დარგში. ფრანც ლისტია იყო არამც თუ ვირტუოზო-პიანისტი, რომელსაც მუსიკის ისტორიის სივრცეზედ მეტოქე არ მოეპოვება; არა, იგი იყო ამასთანავე შესანიშნავი პედაგოგი, კაპელმეისტერი (ლოტბარი) და შეუღარებელი მუსიკოსი. აი ამ შესანიშნავ მუსიკოსზედ გვინდა მოკლედ ორიოდ სიტყვა მოვახსენოთ.

ბავშობიდანვე ფრანც ლისტმა მუსიკაში დიდი ნიჭი გამოიჩინა; სწავლის დაწყებამდის პატარა ფრანცი უკვე გაეცნო მუსიკის ანბანს. იგი, სანამ მამა მისთან მეცადინეობას დაიწყებდა, პირდაპირ ფურცლიდან კითხულობდა სამუსიკო თხზულებებსა. შვილის წლიდანვე მამა მეცადინეობდა შვილთან; ცხრა წლისა იქნებოდა, როდესაც ლისტმა ვეიმარში ერთერთ კონცერტში მიიღო მონაწილეობა; ამ კონცერტზედ პატარა ფრანცმა როიალზედ



დაცრით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა; აქვე მყოფმა ლუდვიგ ბეთოვენმა ველარ მოითინა და, როდესაც პატარა კონცერტანტი როიალს უჯდა, აზვირთებული საზოგადოებრივი არღვია, ვიღა ამბიონზედ და ფრანსკ ფართე შუბლი მხურვალედ გაღუკუნა და ვულში მისი ხელები ჩაიკრა; ლისტი განაგრძობდა მეკაღინეობას, მამაც ხელს უწყობდა ზეიონს და დილს. ფრანცი გამომგზავრა ვენისკენ, სადაც მაშინ სახელოვანი მუსიკოსნი იმყოფებოდნენ; აქ ლისტი მეკაღინობდა გამოჩენილ ჩერჩისთან როიალზედ, სალიცრთან—თეორიას. ფრანცი ლისტი მალე გაეცრა დიღს ლიტერატურას. ლიტერატურას იგი ვამშებებელი ადვენებდა თვალყურს. ვიქტორ ჰუგო, ბალზაკი, ჰენე, ალფრედ დე—მიუსე, ჟორჟ ზანდი და სხვა, იი მწერლები, რომელთა თხზულებებიც დიდბუნებოვან ახალგაზრდაზედ წარუხოცველ შთაბეჭდილებას ახდენდნენ; ამ მწერლების იდეებმა მთლიად შეიპყრეს ფანცი ლისტი, —მხოლოდ მათმა ზეგავლენამ მუსიკოსის არსებაში გააღვიპა პატიოსნური მფარველობისა და გამოქომაგების გრანობა. სწორედ ამ მწერლების გავლენის შედეგი იყო, რომ შემდეგ მთელ თავის ცხოვრებაში ლისტი მფარველი იყო ყოველივე მისი, რაც ქიშობისა და მტრობას დაფრდილა, ხოლო პატივისა და ყურადღების ღირსი კი იყო. 1835 წ. ლისტმა დასტამა პარიზში მთელი რიგი წერილებისა „საფრანგეთის არტისტების მდგომარეობა!“ ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არამც თუ საფრანგეთში, არამედ გერმანიასა და ავსტრიაშიც. გრდემლივით მაგარი კილო, არა ჩვეულებრივი მსჯელობა მოულოდნელ კითხვებზედ საზოგადოებაში ყუმბარასავით გასკდა. ლისტი ბევრს სწერდა მუსიკაზედ, მის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზედ; ლისტზედ დიდი გავლენა ჰქონდა შოპენს, როგორც პიანისტს ვირტუოზს, ხოლო კომპონობაში იგი ბერლიოზის გავლენის ქვეშე იმყოფებოდა. ამიტომაც საუკეთესო სამუსიკო წერილები ლისტისა შოპენსა, ბერლიოზსა, ვაგნერსა, შუმანსა და შუბერტზედ იწერებოდა. მის წერას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა; მისი დარბაისლური, დიჯი და ბრძნული მსჯელობა მუსიკაზედ ერთ მიმართულებას ჰქვნიდა, მის აზრს ამ დარგზედ რიხარდენდენ არამც თუ მუსიკოსნი, არამედ მთელი განათლებული ევროპა და მეცნიერების წარმომადგენელიც. თუმცა პარიზსა და ბერლიონს შორის მაშინაც არსებობდა ფარული სიძულვილი და უნდობლობა, რამაც ბოლოს და ბოლოს მაინც მიიყვანა ეს ორი მეზობელი სახელმწიფო საშინელი სისხლის ღვრამდის, მაგრამ მიუხედავად ამისა საფრანგეთის მუსიკოსნი და სხვა დარგის ხელოვანი ლისტს გულდასმით მიუვადებდნენ ყურს და, ასე გასინჯეთ, ლისტზედ, როგორც მუსიკოსზედ, კომპონისტზედ იქ, პარიზში, უფრო ბევრი იცოდნენ, სანამ ეენსა და ბერლიონში. 1839-1849 წ. წ. მთელი ევროპა მოუხებდა მასზედ, როგორათაც მუსიკის სათავეში მდგომ პირზედ. სახელოვანი პიანისტ-ვირტუოზის შარავანდელით მოსილოა ფრ. ლისტმა ზემო აღნიშნულ წლებში შემოიარა მთელი განათლებული ევროპა და არ დაუტოვებია ცოტად მოზრდილი ქალაქი, სადაც არ გაემართოს კონცერტი; ყველგან და ყველასგან ქება-დიდება ისმოდა ლისტისა, ყველა აღტაცებასა და გაოცებაში მოყავდა მის დაცრასა და არა ჩვეულებრივ ტენიკას. ამ კონცერტებმა ლისტს დიდი სიმიდრე შესჭინეს; ეხლა ლისტი ხელოვლით ქველმოქმედობდა. მან არა ერთი და ორი მუსიკოსი გამოიყვანა გაჭირებულგან, ერთ დროს კელსგან მიეწვებული და მოვალეებისგან დევნილი ვაგნერი ხომ მასთან კარგახანი სცხორობდა, —იქამდის, სანამ ტანჰეიზერსა და ლოენგრინს თავის ავტორიტეტით სახელი არ მოუხევექა, სანამ ბერლიონსა და ვენას ეს ოპერები არ მოასმენინა. დიდმა ქონებაზედ მისცა ლისტს საშალება გადედო დიდი თანხა ბეთოვენის ძეგლის ასაგებათ სონანში, რამაც ავსტრიავერმანის პატიოსნური განზრახვანი ვენიოს მამულიშვილისადმი სისწულეში მოიყვანა.

სამოკის წლისა იქნებოდა, როდესაც ლისტი რომში სამუდამოთ დასახლდა. ლისტის ამ გარდაწვეტილებაზედ ერთმა გარემოებამაც იქონია გავლენა. საქმე იმაშია, რომ ლისტი, როგორც კათოლიკი, დიდი მოაწუხუნე და ღვთის მოყვარე კაცი იყო. მშობლების სიკვდილის შემდეგ

ბომ ლისტის ლეთის მოყვარეობამ მთლად შეიპყრო; სწორედ ამითი აიხსნება, რომ რომში ცხოვრების დროს იგი აღიკვეცა და ირიცხებოდა ვატიკანის და პეტრესა და პავლეს ეკლესიის ღვთისმსახურთა შორის. ლისტი განაგრძობდა კომპონისტობას. ეხლა მის ნამუშევარს სხვა ელემენტები ედება, სხვა შინაარსისა იყო; სწერდა ეკლესიისთვის, ლეთისთვის; ამ ხანაში დაწერილი ორატორიები „წმ. ელისაბედი“ და „ჭირსტე“ წარმოადგენენ მუსიკის ამ ფორმის შედევრებს.

განათლებული ევროპა კითხულობდა მის ნაწერებს ვაგნერზედ, შოპენზედ, შუმანზედ, ბერლიოზედ, მუსიკის დანიშნულებაზედ, უსმენდა მის სიმფონიებს, რაფსოდებს, სიმფონიურ პოემებს, იკონებდა ფორტეპიანოზედ და მკვრელთა მეფეს და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ გუშინდელი შესაიღუმლე, მუსიკის ხელოვნებისა. დღეს ესე უმიზნოთ, სიცოცხლითვე იმარხავდა და ისამარებდა თავსა. მთელმა განათლებულმა ევროპამ, რომ რითიმე დებებუნებინა საზოგადოებისთვის საყვარელი მუსიკოსი, იღღესასწაულა ლისტის სამოცდა თხუთმეტის წლის დაბადების დღე. ამის შემდეგ მუსიკოსს, რომელმაც თავისი მადლიანი და ნაყოფიერი სიცოცხლე ხალხთან გაატარა, ვეღარ გაუძლო გულმა და 1886 წ. უკანასკნელად შემოაიარა მთელი ევროპა და გაქაღარაეებულმა ერთხელ კიდევ იხანულა თავის საყვარელი და მადლიერი საზოგადოება. ხოლო ეს უკანასკნელი მოგზაურობა იყო ევროპასთან უკანასკნელი გამოთხოვების საღამოც. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული მუსიკოსი 19 ივლ. 1889 წ. ფრ. ლისტმა საზოგადოებას დაუტოვა ექვსასზედ მეტი სხვადასხვა სამუსიკო თხზულება. ამ ნაწარმოებთა შორის მართლა რომ ღირსშესანიშნავია უკანასკნელი მისი თხზულება „მეფისტოფელი“ და სიმფონიური პოემა „აკენიდგან საფლავამდე“ შედევრია აგრეთვე მის მიერ ფორტეპიანოსათვის გადაღებული სახელგანთქმული მეკინაურე პავანინის „კაპრიჩიო“. ლისტის რაფსოდები, სიმფონიები და სხვა მრავალი საორკესტრო ნამუშევარნი დღესაც ყველგან ამშვენებენ კონცერტების პროგრამას. 19 ივლისით მთელი ევროპა დამწუხარებული იყო, ყველგან ლისტის სახსოვრად გაიმართა სამგლოვიარო კრებები. ბერლინი, ვენა, ლონდონი, პარიზი უკანასკნელ საღამს უძღვნიდნენ იმ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალავად ემსახურა საზოგადოებას და მუსიკას, მუსიკას, რომელშიაც მან სთქვა თავისებური სიტყვა და აღნიშნა ახალი გზა ახალი პერსპექტივებით.





ი. პარპრათელის ნაშრომები:

- 236
1. კრებული სამღერების— გამოც. წ.-კ. სპ. სს. კუდილოა
 2. სამღერები და ლექსები. "
 3. Очерк истории грузинской музыки "

ქართული რომანები:


- 1236
- ა) შუენიერთა ხელმწიფე "
 - ბ) შვეძრობ ცრემლსა "
 - გ) შუეუვარდა კვ ხმა ტკბილი "
 - დ) აღმართ აღმართ შიედილი "

წარღმინილია დასაბეზღათ:

5. ქართული მუსიკის ისტორია.
6. კავშირი მუსიკასა და ცხოვრებას შორის.

რომანები:

7. ა) შეს რაღას იეიქრობ, არაჯევა?
- ბ) ვახსოვს, ტურნეუ?
- გ) თეორი ვარდა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა